დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

ნელიკო მათეშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ცირა ბრეგვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თამილა თამაზაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი; ლალი
აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576084

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერის მუნიციპლიტეტი სოფელი ლაჯანა
იურიდიული მისამართი	ცაგერის მუნიციპლიტეტი სოფელი ლაჯანა
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის მუნიციპლიტეტი სოფელი ლაჯანა
საფოსტო ინდექსი	5105
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	lajanisskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598919671

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0001087443 (06/09/2023)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 11-12 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაჯანა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაჯანა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაჯანა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
ვიზიტი სკოლაში მიმდინარეობდა მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტებისათვის გამოყოფილი იყო სამუშაო სივრცე, სადაც შეუფერხებლად ჰქონდათ მუშაობის საშუალება. საგნობრივი ექსპერტები გეგმის მიხედვით ვიზიტის პირველივე დღეს ჩაერთვნენ სკოლის წარმომადგენლებს. საგნობრივი ექსპერტების მიერ იყო მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლამ წარმოადგინა ვიზიტის დასრულებამდე. სკოლის დირექციას ჰქონდა მიმღებლობა რჩევებთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ------140------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორიN		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნ კონკრეტული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები (რესურსები.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.1.2.5	*პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკა.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში აიყვანოს ექიმი.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა შენობების უსაფრთხოება.*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ეზოს სრულივიდეო კონტროლი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი N3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში ინფრასტრუქტურა უზრუნველყოს საკმარისი კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის ეზოს სრულივიდეო კონტროლი.*
ინდიკატორი N3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში გამოყოს ოთახი კომპიუტერული ლაბორატორიისათვის და მოაწყოს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.*
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაო მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი N2.2.	*კურიკულუმის განხორციელება*	*სკოალამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყ ინფრასტრუქტურა საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სასურველია სამომავლოდ სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და სამუალო საფეხურის მოსწავლეები, შესაძლოა სამეურვეო საბჭოს ან/და თვითმმართველობის წარმომადგენლები.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;*	*სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად.*
ინდიკატორი N3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.*	*სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ რომელიც დაეხმარება სკოლის ადმინისტრაციას არსებული რისკებ განსაზღვრაში.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მთელი ეზოს ვიდეო კონტროლი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული იყო 14 ხარვეზი. პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და განხორციელებული სამუშაოების მტკიცებულებები, რომელიც ხელს შეუწყობს დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრას. სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2-49, 13.11.2023) ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, რომელთაც დაევალად შესაბამისი სამუშაოების გატარება. 2023 წლის 15 ნოემბერს შეიკრიბა სამეურვეო საბჭო (სხდომის ოქმი N8), სადაც განხილული იყო დასკვნის პროექტი და მიღებული იყო გადაწყვეტილებები: ვიდეო-კამერების შესაძენად თანხების გამოყოფის შესახებ; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებრ რკინის ხიდის და შენობების დემონტაჟის თანხმობის მოსაპოვებლად.

ასევე სკოლამ გააგზავნა წერილი საგანგებო სიტუაციების გეგმის შესათანხმებლად შესაბამის უწყებაში (2023 წლის 16 ნოემბერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილია სკოლის მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრში გადაგზავნილი წერილი (MES 023 0001563339, 16.11.2023) საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან შუამდგომლობის მიზნით, კომპიუტერული ტექნიკით მოთხოვნით.
შენობების მდგრადობის დასადგენად გადაგზავნილია წერილი(MES 723 0001353942, 12.10.2023) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.
სკოლამ სრულად წარმოადგინა ცნობები ნასამართელობისა და უფლების ჩამორმევის შესახებ.
შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
   სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებეულებები, რომელიც დეკლარირებულია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
   სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. მაგალითად ეს ნათლად ჩანს სტრატეგიული გეგმის მიმართულებებში. სასკოლო გარემო სასკოლო საზოგადოების წევრებს აძლევს საშუალებას პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვის. სკოლა თავისი ინფრასტრუქტურით, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობებით აძლევს საზოგადოებას საშუალებას ჩაერთოს აქტივობებში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში არსებული სივრცეები (სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედნები, სკოლის ეზო) სასკოლო საზოგადოების წევრებს აძლევს საშუალებას აქტიური თანამშრომლობისათვის, რაც შემდეგში გამოიხატება: სოციალური ურთიერთობები, თავისუფალი გადაადგილება, შეხვედრების მოწყობა, კომუნიკაციები, მოსწავლთა თვითმმართველობის აქტივობები, სამოქალაქო კლუბის აქტივობები, ღონისძიებების მოწყობა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
   სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის N27 ბრძანებით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც არიან სკოლის მასწავლებლები. სამუშაო ჯგუფთან გასუბრებით დგინდება, რომ მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუშაობისას ხდებოდა მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები, იმართებოდა დისკუსიები. ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის ვერსია, დისკუსიების შედეგად მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია, რაც დადასტურებულია სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1, 30/08/2023.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სამომავლოდ სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ როგორც მასწავლებლები, ასევე მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, შესაძლოა სამეურვეო საბჭოს ან/და თვითმმართველობის წარმომადგენლები.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინოდ. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი და შეთანხმებულია. პედსაბჭოს მიერ დამტკიცებულია. რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

   სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448(13.09.2005) განსაზღვრავს სკოლის ტიპსა და სახელს:

   სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N27, 20/06/2023.
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმი N1, 30/08/2023.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- https://skolebi.emis.ge/schools/1433?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
   სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 20 ივნისის N26 ბრძანებით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების ჯგუფის წევრები, რომელთა მუშაობის შედეგად 2023 წლის 31 აგვისტოს ბრძანება N21/1 დამტკიცებულია სტრატეგიული განვიათარების გეგმის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაგეგმვის დოკუმენტს და აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
   სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებები: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, სკოლაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა/შენარჩუნება და სხვა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლაში შემუშავებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის ყველა მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. 2022-2023 სასწავლო წლის თვითშეფასების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებები და პრობლემის დაძლევის გზები.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა არ ითვალისწინებს კონკრეტული აქტივობების შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და რესურსებს.
   სკოლის მიერ გაწერილ შესაბამისობის გეგმაში სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N22/2, 03/07/2023;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება N21/1, 31/08/2023;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
   სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. შემდეგ ხდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
   სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად წარმოადგინე წინა წლის ანგარიშის შედეგად მომზადებული SWOT ანალიზი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აპირებენ სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
   სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისათვის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს წლიურ ფინანსურსა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფები სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიშს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ნაწილმა პერსონალის იცის თავისი საქმიანობის სფერო, პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რაც ეხმარება საქმიანობის ორგანიზებაში. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N28/3, 05.09.2023) დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. მიუხედავად ამ დოკუმენტის არსებობისა ორგანიზაციული სტრუქტურის გააზრება სკოლის თანამშრომლებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის იქნება მნიშვნელოვანი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება (N27/1, 05.09.2023წ.) დისციპლინური კომიტეტის შექმნის შესახებ;
- ბრძნება N28/3, 05.09.2023წ, თანამშრომელთ სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისადაა გაფორმებული.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
   სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.
   სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი პროცესები, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს განვითარებასა და სტატუსის ამაღლებაში. სკოლაში მუდმივად, წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ხდება ურთიერთდასწრებები საგაკვეთილო პროცესზე. რის შემდეგაც მასწავლებელი ახდენს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას და ღებულობს უკუკავშირს კოლეგებისაგან. გარდა მასწავლებლებისა სკოლის სხვა თანამშრომლებთან მიმართებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობები, რომელიც მათ პროფესიულ განვითარებაში ეხმარება (მაგალითად ბუღალტრისათვის და საქმისმწწარმოებლისათვის ტრენინგები).
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
   სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებშიც ჩართულია მოწვეული სპეციალისტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტი და ა.შ). ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge-ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ თანამშრომლებს არ ჰქონდათ ცნობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

   სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში 22 მასწავლებლია დასაქმებული. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი, რომელშიც ჩართულნი არიან დირექტორი, ასევე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, კათედრის ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირებიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა ვიზიტის პროცესში ჩანდა სკოლის გუნდში გადანაწილებული პასუხისმგებლობა და თანამშრომლობითი პროცესები.

   სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავება განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბრით, რაც შესაძლებელია აღნიშნულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკა.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.
   სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ.).
   სკოლაში დასაქმებული არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გამოცდილების გაზიარებაში. სკოლის დირექცია ატარებს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა სიტუაციებს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. აქცენტი კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. სკოლაში თუ სკოლის გარეთ მიღწეულ წარმატებას სკოლის საერთო შეხვედრებზე აუცილებლად აღნიშნავენ და უცხადებენ მხარდაჭერას მოსწავლესა თუ მასწავლებელს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კონკურსის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები (სერტიფიკატები, დიპლომები, ცნობები);
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
   სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის საკითხები მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით იგეგმება წახალისების სხვადასხვა ფორმა.

ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფი ფუნქციონირებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში. მისი საქმიანობა განისაზღვრება ძირითადად გაკვეთილებზე დასწრებებით. საგაკვეთილო პროცესში ხდება ფოკუსირებული დაკვირვება, საჭიროებების დადგენა და მათზე უკუკავშირების გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების ხელმძღვანელები წარმოადგენენ დირექციის წინაშე მასწავლებელთა საჭიროებებს, რასაც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, ანალიზის და მასწავლებელთა რეფლექსიების შედეგად ხდება. დირექცია მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ასევე სხვადსხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგ კურსების შესახებ. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხარდაჭერას და ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგების შესახებ და ხელს უწყობს მათზე დასწრებას.

   სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ამ მიმართულების შესაბამისი აქტივობები.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

   სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად ეცნობა სიახლეებს, აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწვლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლისათვის მნიშვნელოვანი და ღირებულია თანამშრომელთა კარიერული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტერგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად, მაქსიმალურად ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რაც მათ უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, რომელიც პუნქტ 3.1-შია გაწერილი (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მასწავლებელი უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი,) რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. მაგალითისათვის სკოლის დირექციამ მოიყვანა პროექტის განხორციელება, რომლის შედეგადაც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის ეზო მოეწყო. ასევე პროექტის ინიცირება სააქტო დარბაზის მოსაწყობად, რაც განხორციელდა კიდეც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა:
- სკოლის შინაგანაწესი;
- სერტიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
   მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შემუშვებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ გააზრებული აქვს პრინციპი ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. ამ მიმართულებით სკოლა მუშაობს და გეგმავს უფრო დაწვრილებით გაწეროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვისა და მონიტორინგის მიზნით სასწავლო პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი ზრუნავს სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის განსაზღვრაზე, მონიტორინგზე და პროფესიულ განვითარებაზე,ხშირად ესწრებიან დაგეგმილ გაკვეთილებს დირექციასთან ერთად და უკუკავშირის საფუძველზე ცდილობენ განავითარონ მასწავლებელი საჭიროებისამებრ. სამომავლოდ მათ მუშაობა უფრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გააქტიურდება,სკოლაში ხარისხის განვითარების მიზნით, იგი შეისწავლის საჭიროებებს, დაგეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

   სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომლებიც თანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული და ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი ძალისხმევით ხდება სკოლის მმართველობითი საქმიანობის წარმართვა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

   აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.
სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი 22. განცხადების განხილვისა და გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

   სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების მიღება. სკოლის ადმინისტრაცია მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

   მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.
   სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი და მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
   სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, თუმცა ჯერ არ ფუნქციონირებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ 2024 წლიდან გათვალისწინებულია შტატის დამატება და შემდეგ გამოცხადდება კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას არ აქვს შემუშავებული და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას.
სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვისა და საევაკუაციო გეგმები.
სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.
სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის მდგრადობის შესახებ.
აღსანიშნავია, რომ ვიზუალური დათვალიერებით სკოლის ეზოში არსებული 9 ნაგებობიდან 6 შენობა პრობლემურია: ერთი შენობა/საწყობი დაზიანებულია ხანძრის შედეგად, 2 ორსართულიანი შენობა(ყოფილი საერთო საცხოვრებლები) დაკეტილია, თუმცა ჩატეხილია ფანჯრები, არსებობს რისკი შენობაში მოსწავლეების შესვლის. ასევე ეზოში არის დაახლოებით 5-6 მეტრ სიმაღლის ხიდი რკინის კონსტრუქციის, რომლის საფეხურებიც უსაფრთხოების მიზნით მოხსნილია, თუმცა არსებობს ალბათობა ამ კონსტრუქციაზე მოსწავლეების ასვლის.
სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განსაზღვრავდა არსებულ საფრთხეებს.
სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ექიმის აყვანა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შეთანხმება შესაბამის უწყებასთან(გეგმა შემუშავებული და გადაგზავნილია შესათანხმებლად), გადაგზავნილია წერილი მდგრადობის მოსაპოვებლად. სამეურვეო საბჭოსთან განხილულია აღნიშნული საკითხები და დაგეგმილია შესაბამისი გზები.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
რეკომენდაცია:

- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში აიყვანოს ექიმი.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.**
- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- **სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ყველა შენობების უსაფრთხოება.**

რჩევა:

სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც დაეხმარება სკოლის ადმინისტრაციას არსებული რისკების განსაზღვრაში.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლა უზრუნველყოფილია ერთიანი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით. მთავარი შენობის (სადაც საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს) გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო კამერებით, თუმცა სრულად სკოლის ეზოს კონტროლი არ არის უზრუნველყოფილი.

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა ვადები და სამეურვეო საბჭოსთან შეატანხმა ვიდეო კამერებისათვის თანხების გამოყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ეზოს სრული ვიდეო კონტროლი.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ამასთანავე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია. სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული არის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ემსახურება ცენტრის IT სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიდეოსათვალთვალო კამერები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საევაკუაციო გეგმა.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებრ რკინის ხიდის და შენობების დემონტაჟის თანხმობის მოსაპოვებლად (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8, 15.11.2023).
- წერილი საგანგებო სიტუაციების გეგმის შესათანხმებლად შესაბამის უწყებაში (2023 წლის 16 ნოემბერი).
- საგანმანათლებლო რესურსცენტრში გადაგზავნილი წერილი (MES 023 0001563339, 16.11.2023) საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან შუამდგომლობის მიზნით, კომპიუტერული ტექნიკით მოთხოვნით.
- შენობების მდგრადობის დასადგენად გადაგზავნილია წერილი(MES 723 0001353942, 12.10.2023) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.
- ვიდოე კამერების შესაძენად თანხების გამოყოფა(სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8, 15.11.2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 28576 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (22/12/2021 წლის) დგას 10 შენობა. თუმცა რეალურად 9 შენობა-ნაგებობაა. დირექტორტან გასაუბრებით დგინდება რომ 1 ნაგებობის(06/1) საპირფარეშოების დემონტაჟი მოხდა დაახლოებით 3 წლის წინ. სკოლა სასწავლო პროცესისათვის იყენებს 3 შენობა-ნაგებობას: 2სართულიანი შენობა სადაც მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი და განთავსებულია დირექცია, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, ბიბლიოთეკა; ერთი შენობა - სპორტული დარბაზი; ერთი შენობა- სააქტო დარბაზი.

   სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით. სკოლას აქვს- 14 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, და ღია სპორტული მოედანი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას აქვს კატალოგი და ჟურნალი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

   სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან გასუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, რომლებსაც აქტიურად იყენებს სკოლა სახვდასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს.
   კერძოდ, მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის სათანადო პანდუსი. მეორე სართულზე გადასაადგილებლად არ არის მოწყობილი პანდუსი. სკოლაში არ არის შშმ მოსწავლე, თუმცა თუ თუ ჩაირიცხება ყველა მას მაინც ექნება წვდომა რესურსოთახტან, ლაბორატორიასთან, ბიბლიოთეკასთან, ექიმის ოთახთან, საკლასო ოთახთან, რადგან შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
   სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. სააქტო დარბაზში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია დღის განმავლობაში, გაკვეთილების შემდეგ განსაკუთრებით აქტიურად ხდება მისი გამოყენება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც არსებული წიგნადი ფონდი წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება). ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვიტარებისათვის. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თვალსაჩინოებებით და კურიკულუმით განსაზღვრული რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის ფლობის შესახებ;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- წიგნების გადაცემის აქტები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შენობა-ნაგებობის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
   სკოლის ბალანსზე ირიცხება 4 კომპიუტერი, 1 პროექტორი, რომლითაც სარგებლობენ სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბურალტერი. სკოლაში არ არის კომპიუტერული ლაბორატორია, სასწავლო მიზნებისათვის მოსწავლეები ძირითადად ბუკებს იყენებენ.
   სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერით. ე.წ.“ტოკენი“-ის საშუალებით.
   შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ტექნიკის მოსაპოვებლად ვადები, რისთვისაც სკოლამ უკვე წერილობით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურასთან შუამდგომლობის მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში ინფრასტრუქტურა უზრუნველყოს საკმარისი კომპიუტერული ტექნიკით.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

   სკოლაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობს სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია (დირექტორი, ბურალტერი, საქმისმწარმოებელი). სკოლაში არსებული 4 კომპიუტერით(1 ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის) ვერ ხერხდება სრულყოფილად მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება პერიოდულად გამოიყენონ კომპიუტერი. უფრო მეტად საკუთარ ლეპტოპებს იყენებენ. სკოლაში ერთი პროექტორია და გაკვეთილისთვის შეთანხმებით იყენებენ მასწავლებელები. სკოლას არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, შესაბამისად მოსწავლეთათვის კომპიუტერული ტექნიკა არ არის ხელმისაწვდომი.

   შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ტექნიკის მოსაპოვებლად ვადები, რისთვისაც სკოლამ უკვე წერილობით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურასთან შუამდგომლობის მიზნით.

   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

   რეკომენდაცია:

   სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში გამოყოს ოთახი კომპიუტერული ლაბორატორიისათვის და მოაწყოს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ტექნიკის მიღება-ჩაბარება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება განცხადებები, რომელთაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც.
   სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების დებულება (ბრძანება N3-ა, 04/01/2022წ.)არ შეესაბამება სკოლის მიერ განხორციელებულ საქმისწარმოებას. ბრძანებების ნუმერაცია და თარიღი, ოქმების ნუმერაცია და თარიღი, ხელშეკრულებების ნუმერაცია დარღვეულია, აცდენაა რიცხვებსა და ბრძანებების თანმიმდევრობაში. დებულებაში არ არის გათვალისწინებული ელექტრონული საქმისწარმოება (Eflow), ვერ იძებნება ჩანაწერი დოკუმენტების შენახვის ვადების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმაში საქმისწარმოების წესის შემუშავების ვადად განსაზღვრულია 2023 წლის 29 დეკემბერი, ამ მიზნით უკვე დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
რეკომენდაცია:
სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. მოქმედებს eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ბრძანებების რეგისტრაცია. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
   სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილია სკოლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისა და მასწავლებლობის მაძიებლისათვის განსაზღვრული ტუტორის შესახებ ინფორმაცია. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების დებულება(ბრძანება N3-ა, 04/01/2022);
- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow-ს გვერდი.
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N2-49 (13.11.2023).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
   სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელით https://www.facebook.com/profile.php?id=100022325327534 ახორციელებს.
   თანამშრომელთა და მოსწავლეთა აქტივობების განთავსებასა და გავრცელება ხდება სოციალური გვერდის საშუალებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვების შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
   დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გასაზრდელად მუდმივად ტარდება საუბრები, იმართება შეხვედრები, მშობელთა კრებები.
   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
   სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სკოლა აქვს ვებ-გვერდი, სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული და აღნიშნული გვერდის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია. ინფორმაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა, მისამართი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები კლასების მითითებით, ელ.ფოსტა, მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი, ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100022325327534 ;
- ვებ-გვერდი https://cutt.us/Li1Dg ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის N3 ოქმში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა.
   სკოლაში დამტკიცებული აქვს 2023 წლის ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3, 7/12/2023;
- ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა;
- 2023 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
   სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა.

სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

   სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელისმოწერით დასტურდება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირება) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
   სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოთხოვნა ეგზავნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების და ეკო კლუბები. სკოლას შემუშავებული აქვს კლუბების დებულებები. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნონ არსებულ შეთავაზებებს. ასევე სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
   სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სექტემბრის დასაწყისში ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო სივრცის გაცნობა, პირველ მასწავლებელთან შეხვედრა, ახალგადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართვა.
   სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესის შემუშავება 2023 წლის 27 დეკემბრისათვის.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეიმუშაოს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სკოლის დათვალიერება.
კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო გამოცდების შემთხვევაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
   საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

   მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი-„GREEN CLUB“. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სამოქალაქო კლუბის ჩართულობით, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში სხვდასხვა პროექტები ხორციელდება. სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლების პროგრამის განვითარების ფარგლებში USAID-ის მიერ ორგანიზებულ პროექტებში, აქტიურად თანამშრომლობენ პარტნიორ ორგანიზაციებთან.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

   მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები. ასევე აქტიურია სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც დირექციასტან წარადგენს საკუთრ იდეებსა და ინიციატივებს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. მაგრამ სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით. ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. სკოლას ამ პროექტის ფარგლებში სტუმრობენ სხვადსხვა პროფესიის წარმომადგენლები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ცდილობს შეხვედრების ორგანიზებას სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებტან. აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ, იწვევს და ახვედრებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კადეტთა კორპუსის თანამშრომლებს. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
   2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. წელს პირველად ჰყავთ სსსმ მოსწავლე. გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი, თუმცა კადრი ვერ მოიძებნა. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა შედგენილი ისგ, თუმცა პროცესი მიმდინარეობდა ისგ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შექმნაზე. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გიგმის სამუშაო ვერსია, რომელიც უნდა განიხილოს სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცდეს პედაგოგიურ საბჭოზე. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2023-2024 ს.წ.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   ტრანსპორტირება ხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში, სკოლის ვალდებულებაა მოსწავლეთა გამზავრება და მიღება, რასაც ტაბელზე ხელმოწერით ადასტურებს დირექორი, რაც 3 ეგზემპლარად ივსება, ინახება სკოლაში, მუნიციპალიტეტსა და მომწოდებელთან (მძოლთან).

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   სკოლა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება.;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და უცხოური ენების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს. უცხოური ენების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან, კათედრის წევრებთან და ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულმების შედგენის დროს მოხდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი. **2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. უცხოური ენების კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათთან გასაუბრების შედეგად. კერძოდ, დაგეგმილი აქვთ ყველა კლასში კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, რომლის შემუშავებისას მასწავლებლებმა საკუთარი მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერსები, საჭიროებები გაითვალისწინეს მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციით და დირექციასთან თანამშრომლობით. წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის სხვადასხვა კლასში დასანერგი ორი ან სამი კომპლექსური დავალება, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს როგორც სხვა საგნების, ისე წინა და მომდევნო კლასებში შემსვლელ პედაგოგებთან თანამშრომლობის, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწის შესახებ, რათა კურიკულუმების ციკლურობით თითოეული წევრის ჩართულობა გაუმჯობესდეს. კათედრას აქვს გამოცდილება მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული და დამტკიცებულია კურიკულუმი, რომელსაც ამ დროისათვის ახორციელებს სკოლა. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი **უცხოური ენების,** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები თანამშრომლობით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოებამ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით, განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, შეფასების განხილვის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად კურიკულუმებში გათავლისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის საჭირო პრობლემები. **2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დაწყებით საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** საგნობრივი კურიკულუმები, ამ ეტაპზე, შემუშავებულია მასწავლებელთა მიერ, გაზიარებულია სხვა საგნების პედაგოგებისათვის და ეტაპობრივად მიმდინარეობს მშობელთა ინფორმირებულობა მშობელთა კრებებსა და სოციალურ ქსელებში სწავლების მიზნების გაზიარების გზით. იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების მეორე მოდელი. კათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების მიგნებები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების ეფექტური მუშაობა კურიკულუმის სრულყოფისათვის ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებათ. ამ მიმართულებით კათედრას 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ და დამტკიცებულ კათედრის სამუშაო გეგმაში განსაზღვრული აქვს „მკითხველთა კლუბის“ ფუნქციონირება, სხვადასხვა ღონისძიებათა და ექსკურსია–პროექტების განხორციელება. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შემუშავებულ კურიკულუმებს არა მხოლოდ კათედრის წევრებს, არამედ მშობლებსაც უზიარებენ, რაც მათ ჩართულობას ზრდის და აღნიშნეს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა. **2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. I , II, III, IV, V და VI კლასების **ქართული ენისა და ლიტერატურის** ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტ - მაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე არსებობს რა კომპლექსური დავალებებით სწავლების მინიმალური პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებიდან, მკაფიო ხდება, რომ იგეგმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში. ასევე გათვალისწინებულია დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლის მოთხოვნების შესაბამისი მიდგომები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია **მათემატიკის** კათედრაზე კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, **მათემატიკის** სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნიან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას, რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად: "კალორიების დათვლა", „ამინდის კალენდარი", „გლახაკი და ქილა ერბო", „საქართველოს რეგიონები", „მე და მკვლევარი მათემატიკოსი", „ვირტუალური ფერმა" და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად. დაწყებით საფეხურზე **უცხოურ ენაში** წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, დამატებითი რესურსები, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, როგორიცაა დაბადების დღის მისალოცი ბარათი მეგობარს, ილუსტრირებული წიგნაკი თემაზე: ზოოპარკი, საყვარელი შინაური ცხოველი, პოსტერი თემაზე- ჩემი ოჯახი, ჩემი საოცნებო სამსახური/პროფესია და ა.შ. და საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და წარმოაჩენს მოსწავლეს სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტად. სწავლის პროცესი ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმას და მოქმედებას შეუწყობს ხელს. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულულებში ყველა კლასში თითეულ თემაში განხილულია ყველა სამიზნე ცნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას და მეტწილად ორიენტირებულია 21-ე საუკუნის ფუნქციურ უნარ- ჩვევების განვითარებაზე, რომელიც უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას. წარმოდგემილი კურიკულუმები აჩვენებს რომ პედაგოგებს აქვთ ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებულია ესგ-ით მისაღწევი შედეგები, თითოეული შესასწავლი საკითხი მუშავდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებს ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში. რაც შეეხება კომპიუტერული **ტექნოლოგიების კურიკულუმებში ჩანს, რომ** სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის კათედრის** მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის კურიკულუმები კონსტრუქტივისტულ პრინციპებზეა აგებული და მოსწავლის როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს კურიკულუმის შექმნის პრინციპებზე. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს სკოლის ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ინტერესები, რის შესაბამისადაც შეარჩიეს თემები. სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური საგნის გრძლევადიანი მიზნები წარმოადგინეს სამიზნე ცნებების სახით, რომელიც მუშავდება თითქმის ყველა თემაში. ხოლო შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეა, რომელიც თავის მხრივ მოძრავი თამაშებისა და სასკოლო ფესტივალის ჩატარებას გულისხმობს. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. **სახელმწიფო ენაში** შუალედური და გრძელვადიანი უნარების განვითარებით, მოსწავლეთა წინარე ცოდნათა გააქტიურებით, ახალი ცოდნის დაშენებითა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით, საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია მოდიფიცირებული დავალებები. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. **მათემატიკისა და უცხოური ენების კათედრის** კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. **მათემატიკის** კურიკულუმიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლას გამოკვეთილი აქვს სამიზნე ცნებების, როგორც მთავარი, გრძელვადიანი ორიენტირის როლი საკუთარ კურიკულუმებში. მოცემულ კურიკულუმებში მეტწილად მკაფიოდ იკვეთება მიმართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის. დავალებაში განიხილება კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელიც სასწავლო მასალაშია. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ მოსწავლის მიერ თემის სიღმისეულად გაზიარების წინაპირობაა კონტექსტი, თემა და ფაქტობრივი ინფორმაცია, სწორედ ამიტომ აქცენტი კეთდება კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების შექმნაზე; კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. განიხილული კონტექსტ მაგალითი, უნდა დაეხმაროს მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა,რომელიც სასწავლო მასალაშია. მიღწეული მიგნებებისთვის კი მნიშვნელოვანია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებას მიზნობრივად გამოიყენებს; ჩამოუყალიბდებათ უნარები და ღირებულებები: კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, მოცემული უნარები - არის ის ფუნქციური ინსტრუმენტი, რომლითაც მოსწავლე დაგეგმვავს თავისი სწავლის პროცესს, შექმნის პროდუქტს და იმსჯელებს იმ საკითხებზე თუ რა გზის გავლა მოუწია ამ პროდუქტის შესაქმნელად; **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულემები მოიცავს ე.ს.გ. გათვალისწინებულ ყველა თემას და სამიზნე ცნებას. დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიემართება დიფერინცირებული სწავლების მიდგომებს, კოლეგებმაც აღნიშნეს გასაუბრების დროს, რომ მოსწავლეები საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომების. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში შექმნილი აქვს სკოლას ინდ.გეგმები, საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებს განუვითაროს ფუნქციური უნარები. ამ უნარების განვითარება ხდება ყოველ კომპლექსურ დავალებაში სხვადასხვა აქტივობებისა და რესურსების დამუშავების პროცესში. პედაგოგები ახორციელებენ კომპლექსური დავალებების ანალიზს საკუთარი პრაქტიკის თვითრეფლექსიით. კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, I-VI კლასების **ხელოვნებისა და მუსიკის** კურიკულუმში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნება ზუსტად არის მიმართული სამიზნე ცნებასა და საკითხზე. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დღემდე კომპლექსური დავალებები არ განუხორციელებიათ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია ჩაუტარებიათ შიდა საკლასო სპორტული ღონისძიება, სადაც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან, თამაშობენ გუნდურად, თანამშრომლობენ, ერთნაირად აღიქვამენ მოგებას და წაგებას, მართავენ ემოციებს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების განხორციელებისას(მოძრავი თამაში, შიდასასკოლო ფესტივალი) გამოყენებული აქტივობები კიდევ მეტად აქტიურსა და განვითარებადს გახდის ამ პოცესებს. **2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. თვითშეფასებისას იკვეთება, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია საფეხურის თითოეული მოსწავლის საჭიროება (მზაობა, წინარე ცოდნა,ინტერესები, ინტელექტის ტიპი...), ამისათვის **სახელმწიფო ენის** პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ფიქრობენ, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ არა მარტო მათზე მორგებული სასწავლო რესურსები, არამედ დიფერენცირებული სასწავლო მასალალები. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სსსმ მოსწავლისათვის სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. დაწყებითი საფეხურის **მათემატიკის** მასწავლებლებთან შეხვედრისას დადგინდა, რომ პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ყველა საგანში, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ-მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ - განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. **უცხოური ენის** მასწავლებლებთან გასაუბრება წარმოაჩენს სასკოლო საზოგადოების გამოცდილებას, ჩართულობას, თანამშრომლობას და სწორ ხედვას ამ მიმართულებით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომ მასწავლებელები სთავაზობენ არჩევანს საკითხებთან მიმართებაში, რაც მოსწავლეების მოტივაციას, ჩართულობას, დამოუკიდებლობას უწყობს ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურკულუმიდან ჩანს, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესი დანახულია, როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართული აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, პოტენციალი, საჭიროებები. სკოლა ახორციელებს ს.ს.ს.მ. მოსწავლის მომსახურეობას შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლისთვისაც შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, პროცესის წარმართავს სკოლის ისგ ჯგუფი; იგეგმება კომპლექსური დავალების ადაპტირება; როგორც ინტერვიურებისას აღნიშნეს განსაზღვრული აქვთ დიაგნოსტიკური შეფასება თუმცა ვიზიტისას რა ინსტრუმენტებს გამოიყენებენ, ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი, რაში გამოიყენებენ მიღებულ ინფორმაციას და რა ფორმით მოახდენენ ანალიზს და შეფასებას- არ ქონდათ დაზუსტებული; ამ მიმართულებით კეთედრების გაძლიერებული და კოოდინირებული მუშაობაა საჭირო, ასევე მნიშვნელოვანია სხვა სკოლის გამოცდილების გაზიარება; **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან** გასაუბრების დროს დადგინდა, რომ პედაგოგების მოსაზრებით რომ მოსწავლეები საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომებს. შექმნილი აქვს სკოლას ინდ.გეგმები სსსმ მოსწავლისთვის, საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ ის აძლევეს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება. სკოლას გათვალისწინებული აქვს ინკლუზიური მიდგომები **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმშიც, რომელიც დაგეგმილია თემების მიხედვით, თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; კომპლექსური დავალება, საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭიროებს).**ფიზიკური აღზრისა და სპორტის** მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა, სპორტული რესურსი, იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. აქტივობები შეთავაზებულია მათ შესაძლებლობებზე გათვლილი სპორტული აქტივობები, სპორტის სახეობების ელემენტების მარტივად შესრულება, მსაჯობა, ღონისძიების ერთობლივად მოწყობა. განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებებში მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი და იგივე დავალების სხვადასხვა აქტივობებით შესრულება. იგეგმება შიდა სასკოლო ფესტივალი მძლეოსნობის ელემენტებით, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ასრულებენ, როგორც მძლეოსნობის სახეობების ელემენტებს, ასევე პრეზენტაციას, კედლის გაზეთს, პოსტერს მძლეოსნობის თემატიკით. შესაბამისად აღნიშნული **2.1.2.3.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე **ქართულ ენაში** განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლას დამტკიცებული აქვს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად **მეორე მოდელის** გამოყენება, რაც 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით სკოლა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“ რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე დაგეგმილი აქვს სადიაგნოსტიკო წერის განხორციელება ქართულსა და მათემატიკაში. დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ **მათემატიკის** დაწყებითი კათედრის პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სოსტემა. სასკოლო პრაქტიკაში იყენებენ ურთიერთ შეფასება, თვითშეფასება, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი (მე-5 და მე-6 კლასებისთვის) შეფასების რუბრიკების გამრავალფეროვნებას თითოეული თემის ფარგლებში, სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით, ამის მზაობა მათ ნამდვილად გააჩნიათ და შემოგვთავაზეს კიდეც სხვადასხვა თემებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **უცხოური ენების** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს კათედრის მართებული ცოდნა და გამოცდილება შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრსით. მე-2 და მე-6 კლასის მასწავლებლის თვითრეფლექსიის ნიმუშები და წარმოდგენილი სხვადასხვა რუბრიკები წარმოაჩენს კათედრის მზაობას და სწორ ხედვას შეფასების ინსტრუმენტების მართებულად გამოყენების თვალსაზრისით გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანს, რომ შეფასების **მეორე ტიპის** გამოცდილებას სკოლას აქამდე არ ჰქონდა და სკოლა იყენებდა შეფასების პირველ მოდელს; წარმოდგენილი რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ რომ პედაგოგებს მეტწილად გააზრებული აქვთ თუ რა რესურსით უნდა იხელმძღვანელონ შეფასების რუბრიკის შედგენისას. როგორ მოარგოს შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას სასწავლო- საგაკვეთილო პროცესში. ხოლო კომპლექსური დავალებებს აფასებს სოლო ტაქსონომიით. დაწყებით საფეხურზე **კომპიუტერულ ტექნოლოგიებში** განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელი შეფასება წარმოებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. გასაუბრებით და მოწოდებული დოკუმენტაციით გამოიკვეთა რომ **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, თუ როგორ მიმდინარეობს ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. მუშაობის პროცესში კი ისინი ზეპირი განმავითარებელი კომენტარების სახით აწვდიან მოსწავლეებს უკუკავშირს. დაწყებით საფეხურზე ესთეტიკის კათედრის წევრები იყენებენ ანალიტიკურ, პრეზენტაციისა და სხვა რუბრიკებს. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისასა ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე. მათ აღნიშნეს, რომ 1-4 კლასსა და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში განმავითარებელ შეფასებას იყენებდნენ, სემესტრის ბოლოს კი განმავითარებელ კომენტარებს, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრსა და მე-6 კლასში გამოიყენებდნენ, როგორც სიტყვიერ განმავითარებელს, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას ჩათვლის სახით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს რა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შექმნიან მსგავსი ტიპის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, სადაც ჩათვლის სახით განისაზღვრება მოსწავლეთა შედეგები თითოეული თემიდან გამომდინარე სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლას შექმნილი აქვს 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება. თვითშეფასებისას სკოლა საუბრობს იმ მნიშვნელოვან მიდგომებზე, რომ აუცილებელია მუდმივად იქნეს გათვალისწინებული როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის წინარე გამოცდილება.სახელმწიფო ენის პედაგოგების გასაუბრებიდან ჩანს, რომ მზად არიან გაითვალისწინონ მოსწავლის მზაობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განახორციელონ დაკვირვება, შედეგების ანალიზი, პროფესიული საჭიროების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკა უზრუნველყონ. დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის **მათემატიკის** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), მათემატიკის პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წელსაც. **უცხოური ენების კათედრის** მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს სკოლის გამოცდილება. კერძოდ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის,უცხო ენათა კათედრის ოქმში ვკითხულობთ, რომ მოხდა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების და პირველი სემესტრის შედეგების ანალიზი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საასწავლო კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებისგან ირკვევა, რომ სკოლისთვის წინარე ცოდნის გათვალისწინება და სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით კურიკულუმის შემუშავების განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლების მხრიდან მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს თითოეულ აქტივობაზე დაკვირვება და სწორედ ამგვარად სხვადასხვა სახით შეგროვილი მონაცემების საფუძველზე მიიღება შემდგომი გადაწყვეტილებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური დავალებები დაეხმარებათ შუალედური მიზნების განხორციელებაში, სადაც ეტაპობრივად არის გაწერილი შესასწავლი საკითხები (მარტივიდან - რთულისკენ) და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედური მიზნების შესრულებით გავლენ გრძელვადიან მიზნებზე ; **საზოგადოებრივი მეცნიერებებიის** -ინტერვიურების პროცესში პედაგოგების მხრიდან დაფიქსირდა წარმატებული აქტივობების განხორციელების მაგალითი და მათი დანერგვის სურვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მომავალი წლის კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში მასწავლებელი თავის ვალდებულებად განსაზღვრავს აღწეროს და გაანალიზოს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით და ამით უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის განახლება. **ტექნოლოგიების პედაგოგთან** ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სისტემატურად აანალიზებს მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგმა აღნიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყრდო ახლანდელ გამოცდილებას, ითვალისწინებს ძლიერ მხარეებს ფორმალური და არაფორმალური სწავლების მიმართულებით. ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთს იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებლებთან ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა, რომ ისინი უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო რა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის განვითარება და რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავება მოხდა კათედრაზე თანამშრომლობით გარემოში. სადაც მასწავლებლების მიერ გათვალისწინებული იყო წინა წლის ანალიზი, მოსწავლეთა ინტერესი სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური სახეობების მიმართ, გამოვლინდა ძლიერ და სუსტი მხარეები, გაიზიარეს ერთმანეთის გამოცდილება. მასწავლებლები აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად ყოველწლიურად გადაამუშავებენ კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 1-6 კლასების კურიკულუმები
- კურიკულუმი მე-3 და მე- 4კლასის - მე და საზოგადოება. მე-5 და მე-6კ ლასის ჩვენი საქართველო.
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24
- დაწყებითიო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კათედრის სხდომის ოქმი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- უცხოური ენების ოქმი- რესურსი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა **ქართული ენის** კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილია კათედრის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები, (დაწყებით საფეხურზე –მაგ, „უსაფრთხო თამაში“, „რა განძი გვქონია“) ასევე კათედრის მიერ დაგეგმილი კლუბის ფუნქციონირება „მკითხველთა კლუბი“, „დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი და ექსკურსია–პროექტები, რაც კათედრის სამუშაო გეგმით აქვთ განსაზღვრული. **მათემატიკის კათედრი** ინტერვიუდან ჩანს, რომ პედაგოგები ითვალისწინებნ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა შეადგინე დღის ჯანსაღი მენიუ, შეადგინე ცხრილი, დახატე გეომეტრიული ფიგურა, გაანაწილე შოკოლადის ფილა თანაბრად, შეუსაბამე მათემატიკური მოდელი, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებით პროცესებში. **უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, თხზულება, ილუსტრირებული წიგნაკი, მისალოცი ბარათი, ოჯახის გენეოლოგიური ხე და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა ერთი პროექტი. უცხოური ენები კათედრამ წარმოადგინა პროექტის გეგმა მე-6 კლასში, გერმანული ენისთვის „ჰალსტუხების ისტორია“, რომლის მიზანია მოსწავლეებში ურთიერთობების გაღრმავება, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, წინააღმდეგობებთან გამკლავება და ცოდნის გამთლიანება.კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვას, გამოცდილებას და ცოდნას მოსწავლეთა მოტივაციის, წინარე ცოდნის გაქტიურების, ინტერესების გათვალისწინების, თანატოლებთან თანამშრომლობის, აქტიურად ჩართულობის და მათი ავტონომიურობის თვალსაზრისით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმიდან ჩანს, რომსკოლა დაწყებითი საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და მისი ინდიკატორების მისაღწევად ცდილობს დაგეგმოს კომპლექსურ დავალებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ნაბიჯების მიხედვით მიიღებენ ინფორმაციას, გაანალიზებენ შესწავლილ მასალას, შექმნიან ახალ პროდუქტს, გადაჭრიან პრობლემებს ყოფა - ცხოვრებიდან, გააკეთებენ კლასიფიკაციას, რაც მათ შემოქმედებითობას განუვითარებს და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას განაპირობებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების იდეები, მეტწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. სასურველია რომ საერთო საფეხურის შედეგის მისაღწევად განხორციელდეს შესაბამისი კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დაწყებითი საფეხურისა და **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია სასკოლო/სასწავლო, პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. პედაგოგები ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან** გასაუბრებისას მასწავლებელმა გამოთქვა სურვილი და მზაობა, რომ მის მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა აქტივობები, დავალებები და რესურსები, რაც მიმართული იქნება მოსწავლეთა შემოქმედებითი და საარზროვნო უნარების განვითარებისკენ. მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში. სხვა პედაგოგებთან თანამშრომლობა, შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტი თუ ტექნოლოგიების სხვა საგნებში გამოყენების პრაქტიკა, მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხის წარმოსაჩენად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - დაწყებით საფეხურზე **მუსიკასა და ხელოვნებაში** იგეგმება კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია მათ ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სპორტის ის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობები, რომელთა სწავლის გამოცდილება წინა წლებშიც ჰქონდათ. ხოლო კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები განხორციელების პერიოდში, ასევე მოძრავი თამაშებისა და საკლასო/სასკოლო ფესტივალის ჩატარებისას მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი სპორტული რესურსი, ინტერენეტ ბმულები, რომელებიც მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას იწვევს და მათ სასწავლო პროცესში შემოქმედებითობას განაპირობებს. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილ თემაში გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, რაგბის ელემენტებით კომპლექსურ დავალების იდეაში გაწერილია მოძრავი თამაშები მძლეოსნობის ელემენტებით.

2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ **დაწყებითის კათედრაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში** დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. პედაგოგთამ ხედვით, საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. სამომავლოდ კათედრა გეგმავს გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **მათემატიკის** პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი - ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტ-მაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად, „კალორიების დათვლა“, „საქართველოს რეგიონები“, „მე და მკვლევარი რობოტი“, ”შოკოლადის ფილის თანაბრად განაწილება“, „ვირტუალური ფერმა“, „ამინდის კალენდარი“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს. **უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების: როგორიცაა „ჩემი ოჯახის გენეოლოგიური ხე“, „ჩემი საყვარელი შინაური ცხოველი“, „ჩემი და უცხო ქვეყნის ქალაქს შორის მსგავსება - განსხვავება“, გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა, ინტერესები და ცოდნის კონსტრუირება ხდება ნაცნობ თემატიკაზე დაყრდნობით. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და სწორედ ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. უცხოური ენების კათედრას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება. წარმოდგენილ ერთწლიან გეგმაში და კათედრის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პროექტები, ღონისძიებები და მკითხველთა კლუბის ორგანიზება. უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა პროექტის გეგმა გერმანულ ენაში „ჰალსტუხების ისტორია“, რომლის მიზანია მოსწავლეებში ურთიერთობების, დამოუკიდებლობის, წინააღმდეგობებთან გამკლავების და ცოდნის გამთლიანება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. ვინაიდან, საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ამ მიმართულებით სკოლას ერონულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისთვის არსებული თემატური ბლოკები **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს და საშუალებას აძლევს ნაცნობი კონსტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დადგენისთვის მასწავლებლები, როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, იყენებენ ტესტებს, ასევე აქტუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილი **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და კომპიუტერული მეცნიერების** დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრა წინარე ცოდნა-გამოცდილებას იყენებს შეფასების ანალიზის საფუძველზე და შედგენილ კურიკულუმებში აქვს გათვალისწინებული. დაგეგმილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას წინარე ცოდნის გასააქტიურებლად. **კომპიუტერული ტექნოლოგიების** კურიკულუმში კომპლექსური დავალებების გამოყენებას არ ჰქონდა სისტემატური სახე, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალებები იგეგმება. **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ისინი ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ახალი ინფორმაციის დამუშავებას და გააზრებას წინარე ცოდნასთან მიმართებით. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** კურიკულუმებში თემები და მის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები ისეა გაწერილი, რომ სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ და მთლიანად სასწავლო პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებით წარიმართება. კურიკულუმები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს უკვე ნასწავლი აქტივობები, როგორიცაა მოძრავი თამაშები შესწავლილი უკვე განვლილი თემებიდან, რაც მოსწავლის შინაგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ძალებს ააქტიურებს, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს და ახალი ცოდნის შეძენის სურვილს აღძრავს. **ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ საგნის სწავლების მეთოდიკა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების მიზნების განხორციელებაზე. სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს მასზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები იკითხება **ქართული ენის** კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა. სწავლის სწავლა გათვალისწინებულია **მათემატიკის** კურიკულუმებშიც. კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევენ მიზნის შესაბამის აქტივობებს; მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ **უცხოური ენების** კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. უცხოური ენების კათედრასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ სწავლის სტრატეგიებზე ორიენტირებულ დავალებებს და ისეთ შეფასების ინსტრუმენტებს როგორიცაა თვითშფასების და თანაშეფასების სქემები, კითხვარები, რაც სწავლის სწავლას და ავტონომიურობას უწყობს ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მეტწილად იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის-სწავლაზე, სწავლების პროცესში მოსწავლეები დაეუფლონ და განივითარონ სხვადასხვა უნარები-ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის სტრატეგიების და სხვა. ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების შეხვედრებიდან ჩანს, რომ** პედაგოგები ცდილობენ გამჭოლი უნარებითა და ღირებულებებით ასახონ დაგეგმილი კურიკულუმები. დაწყებით საფეხურზე საგნებში: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო და ისტორია, დაგემილი კურიკულუმები იძლევა დასკვნას, რომ იგი ეფუძნება ე.ს.გ- თი გათვალისწინებულ გრძელვადიან სასწავლო მიზნებისკენ მიმავალ შუალედურ მიზნებს, სადაც მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა განივითაროს შემოქმედებითი უნარები. **კომპიუტერული ტექნოლოგიის** კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება სწავლა–სწავლების მიზნები.სკოლა საუბრობს რომ სტრატეგიების: სწავლა კეთებით, მოდელირება, გრაფიკული სისტემები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - თითოეული ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ასწავლონ, თუ როგორ შეიმეცნონ ესა თუ ის საგანი. **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმებში გაწერილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს სკოლას აქვს მოსწავლეების მიერ რეფლექსიის ვერბალურად განხორციელების გამოცდილება, მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე მათ მიერ გამოყენებული წამახალისებელ თუ განმავითარებელ კომენტარებზე, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს მისი ძლიერი და სუსტი მხარე, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე, შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, განსაზღვროს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას დაფიქრდეს და მიხვდეს რომელმა ხერხმა თუ მეთოდმა მოუტანა დადებითი შედეგი, განსაზღვროს რომელი ფიზიკურ თვისების განვითარება ესაჭიროება, რომელი ვარჯიშები თუ ფიზიკური აქტივობები დაეხმარა ჯანსაღი ცხოვრების წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცხოვრებაში. თვითრეფლექსიისა და მასწავლებლის უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია;**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლა ასევე წარმოგვიდგენს პროექტული სწავლებისას, რაც ვიზიტისას სრულიად გააზრებულად დაადასტურა **ქართული ენის** კათედრამ. პედაგოგები შეხვედრაზე აქცენტს ასევე აკეთებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. სასწავლო პროცესი **მათემატიკაში** დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის, **უცხოური ენების** სასწავლო კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას.წარმოდგენილი დოკუმენტებით, საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ **უცხოური ენების** მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები. დაწყებითი საფეხურის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ტელესკოლის გაკვეთილები და შესაბამისი ჰიპერლინკები. სკოლას არ აქვს ფიზიკის ლაბორატორია და საკლასო სივრცეში თავმოყრილია ძველი ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიის მასალები; ფიზიკის სივრცეში მიუხედავად იმისა რომ ძველი ხელსაწყოებია, მასწავლებლის დახმარებით ყველა ხელსაწყო მუშა მდგომარეობაშია და იყენებს საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ; სასურველია სამომავლოდ ლაბოტორიის განახლება და სტემ ლაბორატორიის ერთ სივრცეში მოწყობა; უსაფრთხოების სრული ნორმების დაცვით - სკოლას აქვთ სივრცე სადაც განთავსდება სტემ ლაბორატორია; შესაძლებელია მასწავლებლის ფასილიტაციით დაიგეგმოს მარტივი ექსპერიმენტები რომლებიც, სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ საშინაო პირობებშიც შეიძლება ჩაატაროს მოსწავლემ, მასწავლებელმა თავისი ძალებით უზრუნველყოს საჭირო რესურსების მობილიზება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება; შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი რესურსებსა და აქტივობებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეს ნაკლებად აქვს საშუალება მიიღოს ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა. დეკლარატიული სახის ინფორმაცია მიწოდებულია მთავარი თუ დამატებითი რესურსით, დამატებით რესურსად ძირითადათ გამოყენებულია ვიდეო მასალა; ტელესკოლის გაკვეთილებ; სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად; თუმცა ამის პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს; **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და** კომპიუტერული **ტექნოლოგიების მასწავლებლის** ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განვითარებას მაღალსაზროვნო უნარებს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით სწავლებისას მნიშვნელოვანია გააქტიურდეს როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. დაწყებითი საფეხურის **ესთეტიკური აღზრდის** კათედრის მიერ წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში გაწერილი თემიდან გამომდინარე საგნობრივი საკითხები მოსწავლისგან არა მარტო ფიზიკური აქტივობების ტექნიკურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებას გულისხმობს, არამედ თეორიულად, გააზრებულ სწავლებას. მნიშვნელოვანია მოსწავლემ იცოდეს სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების ფარგლებში გაწერილი საკითხების არა მარტო ტექნიკური ელემენტების შესრულების წესი, რაც მრავალჯერადი შესრულების შედეგად იხვეწება, არამედ ამ სპორტის სახეობის ისტორია. კომპლექსური დავალების განხორციელების ფარგლებში, სადაც მოსწავლეებს უწევთ უკვე შესწავლილი საკითხების წარმოჩენა იქნება ეს თეორიული თუ პრაქტიკული ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია;**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებითების კათედრაზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს ნასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. კათედრა გეგმავს სამომავლოდ სწავლის პროცესი მიმართოს ისე, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ტრანსფერი. **მათემატიკის სწავლების** პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, ვისურვებდი უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ დაწყებითების კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ხელოვნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საგნებს შორის, მათემატიკა და ქართულის საგნებს შორის) . **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები როგორიცაა პოსტერის, ილუსტრირებული წიგნაკის, თხზულების, მისალოცი ბარათის და ა.შ. შექმნა, პრეზენტაცია. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაზე. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი,სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით დაწყებით საფეხურზე. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებმა,** სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში არის გაწერილი შესასწავლი საკითხები (მარტივიდან რთულისკენ) და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. შუალედური მიზნების შესრულებით გავდივართ გრძელვადიან მიზნებზე; გასათვალისწინებელია რომ, დავალებები მეტად უნდა იყოს ორიენტირებული პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაც თავისთავად ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ საჭირო უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დაწყებითი საფეხურისა და **საზოგადოებრივი მეცნიერებების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ესთეტიკური აღზრდის** კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგნის კურიკულუმით შეთავაზებული დავალებები იძლევა საშუალებას ჩავთვალოთ,რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ცოდნათა დაკავშირება. თავად სამიზნე ცნებების გააზრება და ამავდროულად თემებს შორის ბმის აღქმა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის-** კურიკულუმები ჩანს, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლების დროს ორიენტირება კეთდება საკითხების სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, მის მობილიზებას და ცოდნათა ორგანიზებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოითხოვს. ხოლო პროექტული სწავლების დროს სწორი ჯანსაღი კვების, მავნე ჩვევების ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ საგანთა შორის კავშირების დამყარებას და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია** .

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი **ქართულ ენაში** ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, ასევე კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შექმნილ პროდუქტებში, რომელშიც კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. თუმცა აქვე შენიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **მათემატიკის** მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ კლასის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა , სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა. სკოლის მიერ წარმოდგენილია **უცხოური ენის** კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც გაწერილია თემების მიხედვით კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, სასწავლო რესურსები რაც ემსახურება გრძელვადიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზნების მიღწევას და ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილ საგნობრივ სტანდარტს. უმეტეს შემთხვევაში კომპლექსურ დავალებას ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სადაც წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენები და მოლოდინები.გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრას მკაფიოდ აქვს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** წარმოდგენილ კურუკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და თითეულ თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გათვალისწინებით, რომელშიც გამოვლინდა რიგი ერთგვარი ტიპის მცირე უზუსტობები, გავლენას ვერ ახდენს მთლიან პოზიტიურ სურათზე და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი სტანდარტები აჩვენებს რომ: სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი და მისკენ მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, მათი საშუალებით კი მუშავდება სამიზნე ცნება. როგორც წარმოდგენილი კურიკულუმრბიდან ჩანს, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგები უზრუნველყოფენ სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი უნარების განვითარებას, სადაც შესაბამისობაშია მოყვანილი ცოდნის სამივე კატეგორია, დაგეგმილ დავალებებში ჩანს ცოდნათა ინტეგრირება, თუმცა პედაგოგები გამოთქვამენ მზაობას, მომავალშიც დაგეგმონ და სწორად წარმართონ სასწავლო პროცესი. კომპლექსურ დავალებებში ჩანს სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის კავშირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** კომპიუტერული **ტექნოლოგიების და ესთეტიკური აღზრდის კათედრებზე** წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში კარგად არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძო კითხვები ერთმანეთთან სწორადაა დაკავშირებული. გარდა ამისა, კომპიტერული მეცნიერების მასწავლებლის ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, მასწავლებელს აქვს მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. ამას უზრუნველყოფს კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური აღზრდა და სპორტის კურიკულუმში წარმოდგენილ შერჩეულ თემებში გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, საგნობრივ საკითხებში იკვეთება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, რაც გამოიხატება სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობების ელემენტების შესწავლით. შუალედურ მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურას და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითაა შერჩეული. ყველაფერი ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას დაწყებით საფეხურზე **ქართული ენის** კურიკულუმებში აქვს ისეთი სასარგებლო აქტივობებს, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა საუბრობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს. **მათემატიკის კათედრაზე** ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ისწავლოს როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის როლიც. სკოლა, სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. **უცხოურ ენებში** წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და საკითხები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას როგორიცაა პოსტერი, წიგნაკი, მისალოცი ბარათი, თხზულება. ამ პროდუქტებზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების, არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია მკითხველთა კლუბის და პროექტების განხორციელება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** სკოლას აქვს ხედვა თუ როგორ წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა-სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი შესაბამისად მიემართება მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარებისკენ. იმისათვის რომ, მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად აუცილებელია ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა. ამისთვის კი სასურველია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სოციალურ პროექტებში. სკოლამ უნდა გააძლიეროს პროექტული სწავლება, როგორც საგნობრივ ისე საგანთაშორის და სასკოლო დონეზე; **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალურ განათლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის კომპონენტური უნარების განვითარებას, კრიტიკული აზროვნებას, შემოქმედებითობას, კომუნიკაციას, თანამშრომლობას, თვითცნობიერებას, პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე. რაზეც მეტყველებს სკოლის მიერ დაგეგმილი კომლექსური დავალებები და სხვადასხვა აქტივობები. **ესთეტიკური აღზრდის კათედრის** საგნობრივი კონტექსტი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესზე. შესაბამისად მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. **ფიზიკური აღზრდის და სპორტის** კურიკულუმებში შერჩეული თემები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ჩატარებული საკლასო/სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, პიროვნული და ფსიქო სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. სპორტის გუნდური სახეობების შესწავლისას ვლინდება, როცა მოსწავლეებს უწევთ გუნდურად თამაში. მართავენ ემოციებს, ეხმარებიან და ზრუნავენ ერთმანეთზე, ეჩვევიან მოგება/წაგებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. **2.2.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას (კითხვების დასმას, იდეების გენერირებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის დანახვას სხვადასხვა მხრიდან და სხვა.) დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების ფორმებისა და ინსტრუმენტების ჰოლისტურ ხასიათს, სკოლის აზრით, უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირი. აღნიშნული კომენტარით შეფასება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მასწავლებლის მხარდაჭერით მოახდინოს პროგრესი/განვითარება. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი შეფასება იყოს უფრო მხარდამჭერი, წამახალისებელი, განვითარებაზე ორიენტირებული. **მათემატიკის** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების მართებული იდეები და შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროექტის ნიმუშით „ჰალსტუხების ისტორია“ და დავალებების პროდუქტებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაყრდნობით როგორიცაა „დაბადების დღის მისალოცი ბარათი“, „ილუსტრირებული წიგნაკი‘’, „ჩემი ოჯახი“ - დგინდება, რომ ცოდნის კონსტრუირება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე. უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ ზეპირი და წერილობითი განმავითარებელი შეფასების წარმოების პრაქტიკა. ვთვლი, რომ უცხოური ენების კათედრას შეუძლია გამოიყენოს:დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. სწავლა- სწავლების პროცესი ეფუძნება ცოდნის კონსტრუირებას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ რომ საბუნებისმეტყველო საგნებში მეტწილად დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. შეფასება მეტწილად ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკების დაყრდნობით ვლინდება, რომ პედაგოგმა სასწავლო წლის განმავლობაში სოლო-ტაქსონომიის საფუძველზე უნდა განვსაზღვროს მოსწავლის ცოდნის დონე, მის დადებითი და უარყოფითი მხარეები და განმავითარებელი შეფასებით და წახალისებით მოსწავლეს მისცეს მიმართულება და მოტივაცია. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები **კომპიუტერული ტექნოლოგიების,** რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავენ მასწავლებლები. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. მასწავლებელი სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავთ მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სწავლა-სწავლების პროცესში უდიდეს ყურადღებას აქცევს მოსწავლეს, მის შესაძლებლობებს, ათვისების უნარს, მოსწავლეთა შეფასება მიმართულია მათ შესაძლებლობებისა და უნარების მაქსიმალურად გამოვლენაზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, მათი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებელი გამოხატავს მზაობას მომავალშიც იზრუნს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ორიენტირება გააკეთს მოსწავლის წინსვლისა და მრავალმხრივ განვითარების ხელშეწყობაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** და **ესთეტიკური აღზრდის** წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ სასწავლო პროცესიც, არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლა, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ის თუ როგორ ახდენს მის ტრანსფერს მოსწავლე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ფასდება როგორც მოსწავლის აკადემიური ასევე მაღალი სააზროვნო უნარები. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს თემებიდან გამომდინარე და იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას. შემუშავებული შეფასების რუბრიკის ანალიზის საუძველზე მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები სამიზნე ცნების ფარგლებში. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე და აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების მსგავსად შეიმუშავებენ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომელიც ასევე მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **2.2.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა 2023–2024 წლის დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილია **ქართული ენის** მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის ყველა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. კათედრაზე გასაუბრებისას იკვეთება, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია მეტი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკებისა და შემაჯემებელი დავალების შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და მისი გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის უზრუნველყოფა, რისი ნიმუშებიც მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი. **მათემატიკის** პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს, მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. **უცხოურ ენებში** წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან ერთი კომპონენტის მიხედვით: 1.შემაჯამებელი დავალება; სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: 1.შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. უცხოური ენების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დგინდება, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების **II მოდელს** და გამოიყენებს შეფასების რუბრიკებს თემის შეჯამებისთვის. ასევე შეირჩა სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად მეორე ინსტრუმენტი, რომელსაც წელიწადში ერთხელ, მაისში განახორციელებენ (რესურსი 12). კათედრას აქვს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა.პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიისთვის გეგმავენ დაკვირვებას 2-3 მოსწავლეზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაც გაზიარებული იქნება კათედრაზე და დაიგეგმება ინტერვენციები გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად(რესურსი12). კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებებისთვის, რაც შესაბამისობაშია გაწერილ მიზნებთან. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებელბი წინასწარ აცნობენ/უზიარებენ მოსწავლეებს შეფასების კომპონენტებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრაზე შეფასება, სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ცხადყოფს რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავა მასწავლებელმა ესა თუ ის რუბრიკა, რა პრინციპით აარჩია შეფასების ინსტრუმენტი და მისი შინაარსი ჩამოყალიბდა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლა მუშაობს შეფასების რუბრიკებზე, რომლებშიც დეტალურად იქნება გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს აქვს გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებლების მირ წარმოდგნილი შეფასების რუბრიკებით ფასდება ის, რის შეფასებასაც ითვალისიწნებს კონკრეტული დავალება, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და რიგ შემთვევაში შეიმუშავებენ მათთან ერთადაც. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის კათედრაზე** შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეების შეფასება განხორციელდეს თემის ფარგლებში სამიზნე ცნების მიხედვით. მასწავლებელმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ კონკრეტული თემის დაწყებისას მოსწავლეებს აცნობს შეფასების რუბრიკას. მოსწავლეებმა იციან, რომ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, თამაშის წესების ცოდნა თუ უსაფრთხოების დაცვა ფასდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, იქნება ვალიდური გამჭვირვალე და სანდო. **ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, პრინციპები, პროცესი და განმახორციელებელი პირები. აღნიშნული ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას, რომ უზრუნველყოფსს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესის სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობას და სამართლიანობას, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები იყოს -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზუსტი. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ მოხდება სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება (ურთიერთდასწრება, რუბრიკების შემუშავება, დიაგნოსტიკური წერები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი) და განვითარება მოსწავლეთა შედეგების, მიღწევების ობიექტურად და სამართლიანად ანალიზისთვის და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს **ქართულ ენაში** შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების (მოსწავლეთა პირადი საქმეების, ბრძანებების; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმების, კათედრის სხდომის ოქმების) შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით. **მათემატიკის კათედრის** დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები. აღნიშნული საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. **უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ესთეტიკური აღზრდის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ფარგლებში** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აწარმოებს ელ. ჟურნალებს, სადაც შეფასების წესის შესაბამისად ხდება შეფასების შეტანა/შენახვა. **2.2.2.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლაში შექმნილია პოზიტიური, მხარდამჭერი გარემო. ჩანს, რომ არის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. პედაგოგებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. **2.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებას. კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოყენებულია დიფერენცირებული დავალებები, რათა არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ყურადღების მიღმა. **2.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები (რომლიდანაც ჩანს კათედრებს შორის თანამშრომლობა, მაგალითად: საუბარია CK12-ის პლატფორმის გამოცდილების გაზიარებასა და გაკვეთილზე გამოყენებაზე), სასკოლო და სასწავლო პროექტები (მაგალითად: „გახდი კარგი ციფრული მოქალაქე“, „ვინ იქნება გამარჯვებული“), მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია), კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაში ასახულია კათედრების მუშაობის პრინციპები და ფუნქციები. აღნიშნულ დოკუმენტზე და კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა და კერძოდ ქართულისა და უცხო ენათა კათედრა- თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან და მათთან კოორდინირებულად მუშაობენ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას წარმოჩინდა თანამშრობლობითი კულტურა. კერძოდ, კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. უზიარებენ გამოცდილებას, რესურსებს, ერთად მსჯელობენ და ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. კურიკულუმების ანალიზი და სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლეზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. **2.2.3.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (ერთწლიანი სასწავლო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) წარმოდგენილი მიზნები, აქტივობები, კულტურა, სასკოლო კათედრების ფუნქციები, დამრიგებლების ფუნქციები და ა.შ. ზოგადად წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობას და განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს. **უცხოური ენების** კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა მასწავლებლების პოზიტიური დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. მაგალითად, **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებელი თანამშრომლობს კოლეგებთან, კათედრის წევრებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით მიიღწევა. ინტერვიურებისა და სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. **მათემატიკის** პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მოსწავლეებს უწევთ საკუთარი ბუქკების გამოყენება პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. თვითონ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებს კომპიუტერული ტექნიკით.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც, გაწერილია რომ 2024 წლის 15 ნოემბრამდე სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სკოლის ინფრასტრუქტურას საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.
შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ტექნიკის მოსაპოვებლად ვადები, რისთვისაც სკოლამ უკვე წერილობით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურასთან შუამდგომლობის მიზნით.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
რეკომენდაცია:
სკოალამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმი
- სტრატეგიული განვითარების ექსვწლიანი გეგმა.
- უცხოური ენების ოქმი-რესურსი12
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო პროექტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დგინდება,რომ სკოლა და უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, ანალიზს უკეთებენ სასწავლო პროცესს. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში წინა სასწავლო წლის პრაქტიკა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი გამოიყენეს. ერთწლიან სასწავლო გეგმაში გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგი მოსწავლეთა,მასწავლებელთა, მშობელთა გამოკითხვით და მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინებით თანმდევი ღონისძიებების განხორციელებით. უცხოური ენების მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ კვლევა, რაც კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების შედეგების ანალიზს და ხარისხის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროცესი განხორციელდება 2-3 მოსწავლეზე დაკვირვებით კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში. მიღებული შედეგების განხილვა და გაზიარება მოხდება კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაცასთან, რათა დაიგეგმოს ინტერვენციები გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. **2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

თვითშეფასების განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ შეფასებას და მონიტორინგს გამოიყენებენ არა პედაგოგთა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად, ამისთვის გეგმავენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შექმნან როგორც მონიტორინგის, ისე შეფასებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო/ გეგმა, რომლის გამოყენებით კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას.სტრატეგიულლი განვითარების ექვსწლიან გეგმაში გაწერილია თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება სასკოლიო საზოგადოების ჩართვით, რისთვისაც პერიოდულად შეიმუშავებენ კითხვარებს, ჩაატარებენ კვლევებს. ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოურ ენათა კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება, რაც ასევე ორიენტირებულია პროფესიულ ზრდაზე და სწავლის ხარისხის, კურიკულუმების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. **2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.
სკოლა ასევე გეგმავს მუდმივი სისტემური მონიტორინგის დანერგვას და „სვოტ“ ანალიზის მეშვეობით ამ პროცესის განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია შიდა სასკოლო მონიტორინგის სისტემა და პრინციპები. სკოლა და კერძოდ უცხოური ენების კათედრა აპირებს ისეთი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას როგორიცაა დაკვირვება, კვლევა, კითხვარები, გაკვეთილებზე დასწრება, სემესტრული და წლიური ანგარიშები. უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ აქვთ პრაქტიკა და გამოცდილება თვითშეფასების, რეფლექსიის, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრების, მშობლებთან გასაუბრების რაც პროფესიულ ზრდაში, კურიკულუმების და სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში უწყობთ ხელს. **2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას დაწყებითების **სახელმწიფო ენის** კათედრაზე აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების განხორციელებას II-XII კლასებში, რომლის მიზანი სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასებაა, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. კათედრაზე პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანად მიიჩნევენ იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, რომელშიც მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში და **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია , რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობა მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მასწავლებლების** ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განვითარების პროცესში მათ მიერ გაკეთებული მონიშვნები მოსწავლის პროგრესის აღსანუსხად მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი საშუალება იქნება; გარდა ამისა სკოლა თვითშეფასების კითხვარში საუბრობს მონაცემთა შეგროვების სხვა ხერხებზე, მაგალითად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირებასა და შედეგების ანალიზზე. მნიშვნელოვანია განმავითარებელი კომენტარის, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსიის, მასწავლებლების მიერ კათედრაზე განხილული გამოწვევების, კითხვარების საშუალებით მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაციის და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება, რაც მიმდინარე სასწავლო წელს უნდა გაითვალისწინოს სკოლამ. 2023--2024 წლისთვის სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების შემოღებას, რომლის მიზანი იქნება სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასება, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. **უცხოური ენების** კათედრას სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ისეთი აქტივობების განხორციელება როგორიცაა პროექტი, კლუბი, ღონისძიება, დიაგნოსტიკური წერა, დაკვირვება რაც მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლის შეფასებას შეუწყობს ხელს. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ, მასწავლებელები ითვალისწინებენ მოსწავლეების უნარებს, შესაძლებლობებს მშობლებთან, კოლეგებთან, დამრიგებლებთან და დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების (საგნობრივი კურიკულუმები, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები) შესწავლით და მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოიკვთა რომ, **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. ესენია: გამოკითხვა, ტესტირება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი, სემესტრული და წლიური შეფასებები, სასწავლო და კომპლექსური დავალების შესრულების, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების და დიაგნოსტიკური წერის შედეგების ანალიზი. **2.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** .

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ **ქართული ენის** კათედრას აქვს გააზრებული, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. სკოლა თვითსეფასებისას ხაზს უსვამს ხედვას, რომ თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, და **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. **მათემატიკის** პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ხორციელდება კონტექსტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით თუ რას ვაფასებთ. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. **უცხოური ენების** კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი სავალდებულო თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები, საბოლოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროდუქტები მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით მოსწავლის მრავალმხრივად შეფასების საშუალებას იძლევა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ბუნების საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მშობლების, კოლეგების, მოსწავლეების მოსაზრებები, ასაკობრივი მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები, აკადემიური მოსწრება.გარდა ამისა, სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები როგორიცაა პროექტები, კლუბები, კვლევები უზრუნველყოფს მრავალფეროვანი კონტექსტების გამოყენებას და თავისთავად მოსწავლის მრავალმხრივად შეფასებას. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. როგორც **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებლებთან ინტერვიუთი და შესწავლილი დოკუმენტაციიდან იკვეთება მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და მიღწეულ შედეგზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საგნების სწავლებისას, მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლის წინარე ცოდნა, გარემო, მოსწავლის დამოკიდებულება საგნის მიმართ, მისი სოციალური და ფსიქოემოციური განწყობა და ისე მოახდინონ მოსწავლის შეფასება.

2.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. .

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის შეფასების პროცესში **ქართული ენის** კათედრას დაგეგმილი აქვს დანერგოს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს მონიტორინგის განხორციელდებას მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გზით. სკოლას მიაჩნია, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე, ხოლო მისი ინსტრუმენტების მრავალფეროვნება მოეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრაზე შეფასება ინფორმაციის შეგროვების ერთ ერთი ფორმაა და გვაწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. მასზე დაყრდნობით კი გეგმავენ მომდევნო სასწავლო პროცესს. შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება კი დაეხმარებათ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის საგნობრივი კათედრები დაგეგმავენ და ორგანიზებას გაუწევენ ისეთ სასწავლო აქტივობებს როგორიცაა პროექტები, პრეზენტაციები, კონკურსები, ოლიმპიადები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ. რაც თავს მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა, მრავლფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. **უცხოური ენების** კათედრამ წარმოადგინა პროექტის გეგმა მე- 6კლასისთვის გერმანულ ენაში („ჰალსტუხების ისტორია“) სადაც გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ისეთი მეთოდები როგორიცაა დაკვირვება, კვლევა, ანალიზი, ფოკუსჯგუფი, ჩექლისთები. .სკოლაში დამკვიდრეებული პრაქტიკის მიხედვით **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** მოსწავლის შეფასებისას გამოიყენება მოსწავლზე როგორც დაკვირვება საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, მოსწავლეთა შეფასების და თვითშეფასების რუბრიკების შედეგები/ანალიზი, მოსწავლეთა ინტრესების კვლევა, მშობელთან კომუნიკაციის შედეგები.

2.3.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის ხედვებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. თუმცა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს ანიჭებენ, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. ასეთ დროს მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. **ქართული ენის** პედაგოგები საუბრობენ, რომ შეფასებისას ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომას, რათა თითოეულ მოსწავლეში სხვადასხვა უნარის უპირატესობა გამოკვეთონ. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერების** კათედრაზე შეფასების დროს გათვალისწინებულია აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მქონე ფაქტორები სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. დაწყებით საფეხურზე შეფასების წარმოებისას პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. **უცხოური ენების** კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით . ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე** განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლის მზაობა/წინარე ცოდნა ახალ თემასთან მიმართებით, მოსწავლის მხრიდან სამიზნე ცნების ფლობის დონე, მოსწავლის შესაძლებლობები, ემოციური მხარე , საჭიროებები და სხვა. განმსაზღვრლი შეფასებისას მოსწავლის ტრანსფრის უნარი და შედეგები სტანდარტთან მიმართებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას.**2.3.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- პროექტი გერმანულ ენაში "ჰალსტუხების ისტორია"
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები
- სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა, სადაც აღწერილია სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკითხები, რაც კურიკულუმების დახვეწის და განვითარების საწინდარია. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების გამოყენებისას /დანერგვისას განახორციელებენ დაკვირვებას ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სისტემატიურად განახორციელებენ თვითშეფასებას/რეფლექსიას და კოლეგებთან ერთად მოახდენენ გაუმჯობესების გზების დასახვას. კათედრების შეხვედრებზე იმსჯელებენ კურიკულუმის გადასინჯვაზე, კოლეგებს გაუზიარებენ საკუთარ პრაქტიკას და შეიმუშავებემ მომდევნო წელს კურიკულუმის განვითარებისა და შესაძლო ცვლილებებისთვის საჭირო რეკომენდაციებს. სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, კერძოდ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ნაწილში აქვს ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს: სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის კვლევას და შესაბამის რეაგირებას, თანმდევი დამატებითი სამუშაობის ჩატარებას. კურიკულუმის განვითარება სწორედ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ნაწილია, ამ პროცესში კი საგნობრივი კათედრები გამოთქვამენ მზაობას ერთობლივი მუშაობით შემუშავდეს მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი კურიკულუმთან მიმართებით. **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ყოველთვის ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას კერძოდ, წარმოდგენილი ახალი კურიკულუმების, სასწავლო მასალის და აქტივობების, დამატებითი რესურსების გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინეს ურთიერთგაზიარებული გამოცდილება კათედრის სხდომებზე. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ განიხილეს შემაჯამებელების ანალიზები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკა, მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რეფლექსიები, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი საუკეთესო პრაქტიკა, განხორციელებული დავალებების ძლიერი და სუსტი მხარეები, დასახეს ინტერვენციები როგორიცაა დაკვირვება, კვლევა თუ როგორ მიმდინარეობს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, აღნიშნეს ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრების მნიშვნელობა დაკვირვების პროცესში. **2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენები სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა
- კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს. პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან, კათედრის წევრებთან და ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს მოხდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საბაზო საფეხურის სტემ საგნების კურიკულუმის შედგენისას, როგორც აღნიშნეს ინტერვიუს დროს, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს;სკოლაში იგეგმება კათედრის სამუშაო შეხვედრებზე შედეგების განხილვა და ანალიზი, რათა უკეთ მოხდეს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და შემდეგი სასწავლო წლისთვის გათვალისწინება შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები და მოიაზრებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის აქტიურ ჩართულობას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. ინტერვიურებისას საუბრობენ იმ აქტივობებზე რომელიც განახორციელეს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მაგ: საკითხების შერჩევა, საკითხების განსაზღვრა, შეფასების ინსტრუმენტების განხილვა. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. **უცხოური ენების** კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. კერძოდ, დაგეგმილია ყველა კლასში კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, რომლის შემუშავებისას მასწავლებლებმა საჭიროებები გაითვალისწინეს მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციით და დირექციასთან თანამშრომლობით. წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო კურიკულუმში მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები მკაფიოდ იკვეთება. თითოეული მასწავლებელი ამ პროცესში თავის როლს თამაშობს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდა ირკვევა, რომ კათედრებზე შემუშავებულ და განხილულ სასკოლო კურიკულუმის ამსახველ მასალებს კთედრა დროულად უგზავნის დირექტორს, მის მოადგილეს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილავს ყველა იმ ცვლილებას, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების, სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე მოხდება კურიკულუმის განვითარება, რევიზიის შედეგად მიღებული შედეგებს ითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავებისას. ის ფაქტი, რომ სასწავლო წლის დასაწყისში საბაზო საფეხურის კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და აცნობს სასკოლო დოკუმენტების შინაარს, ისმენს მშობლების მოსაზრებას და თანამშრომლობს მათთან აჩვენებს სკოლის მზაობას აქტიური ჩართულობისთვის. მშობლებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმატს: კრებებს, სატელეფონო საშუალებებს, სოციალურ ქსელებს. სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გეგმავს არაფორმალური აქტივობების ციკლს, როგორებიცაა: სპორტულ კულტურული ღონისძიებები, ექსკურსიები. სასკოლო ადმინისტრაცია სკოლაში მიმდინარე პროცესის განუყოფელი ნაწილია. **2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის სხვადასხვა კლასში დასანერგი ორი ან სამი კომპლექსური დავალება, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს როგორც სხვა საგნების, ისე წინა და მომდევნო კლასებში შემსვლელ პედაგოგებთან თანამშრომლობის, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწის შესახებ, რათა კურიკულუმების ციკლურობით თითოეული წევრის ჩართულობა გაუმჯობესდეს. სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინებისა. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული და დამტკიცებულიაკურიკულუმი, რომელსაც ამ დროისათვის ახორციელებს სკოლა. წარმოდგენილი **უცხოური** ენების საბაზო საფეხურის კურიკულუმები თანამშრომლობით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. შესაბამისად კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის საჭირო პრობლემები. **2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები, ამ ეტაპზე გაზიარებულია სხვა საგნების პედაგოგებისათვის და ეტაპობრივად მიმდინარეობს მშობელთა ინფორმირებულობა მშობელთა კრებებსა და სოციალურ ქსელებში სწავლების მიზნების გაზიარების გზით. იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების მეორე მოდელი. კათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების მიგნებები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების ეფექტური მუშაობა კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სრუყოფისათვის ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებათ. ამ მიმართულებით კათედრას 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ და დამტკიცებულ კათედრის სამუშაო გეგმაში განსაზღვრული აქვს „მკითხველთა კლუბის“ ფუნქციონირება, სხვადასხვა ღონისძიებათა და ექსკურსია–პროექტების განხორციელება. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით მოხდა რიგი საკითხების, თემების, რესურსების შერჩევა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სკოლამ წარმოადგინა სამივე საგნის (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) კურიკულუმები. კათედრებმა ქოუჩინგის შემდეგ სრულყოფილად წარმოაგინეს გეოგრაფიის და ისტორიის კურიკულუმები. თუმცა პეადგოგებმა გასაუბრის დროს აღნიშნეს, რომ მშობლები ნაკლებ ჩართულები იყვნენ შემუშავების დროს. აღნიშნული კურიკულუმები სრულყოფილია და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. **2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბაზო საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. I , II, III, IV, V და VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები,ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე არსებობს რა კომპლექსური დავალებებით სწავლების მინიმალური პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებიდან, მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში. **მათემატიკა** - 1. მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. სწავლა-სწავლების პროცესზე პასუხისმგებელნი პირნი ჰოლისტურად გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავდ მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას, რომ დავალების ძირითადი საკითხები , რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად;"სადეზინფექციო ხსნარის დამზადება", „უცნაური კამათელი", „მთის სიმაღლის გაზომვა", „გასართობი პარკის დაგეგმარება", და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად. **უცხოური ენების კათედრის** - მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და საკითხები, როგორიცაა წერილი უცხოელ მეგობარს განათლების სისტემის შესახებ საქართველოში, ტურისტული სამარშრუტო ბუკლეტის შექმნა, დისკუსია ბულინგზე, პოსტერი არდადეგების შესახებ, თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ. ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და წარმოაჩენს მოსწავლეს სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტად . სწავლის პროცესი ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმას და მოქმედებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეუწყობს ხელს. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში გათვალისწინებულია წინა წლების გამოცდილება, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დონე, კლასები მცირერიცხოვანია და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა კარგად იცნობდნენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს; სკოლისკოლა შუალედური მიზნის საინტერესოდ წარმოსაჩენად იყენებს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემატურ ბლოკებს. საბაზო საფეხურზე სტემ საგნების კურიკულუმში თემების/თავების/ პარაგრაფების დაჯგუფებით მიხედვით წარმოდგენილია საკითხთა კლასტერები. თითეულ თემაში განხილულია ყველა სამიზნე ცნება. შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას.; ინტერვიუზე მათ ნამდვილად აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა (ქიმია-1, ფიზიკა-1, ბიოლოგია-1 პედაგოგი) აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას კურიკულუმის შემუშავებაზე და განვითარებაზე. წარმოადგინეს კურიკულუმები ყველა კლასში. შეუძლიათ ცნებებს შეუსაბამონ ქვეცნებები სტანდარტიდან. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კ**ურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას და გულისხმობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის აქტიურ ჩართულობას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. სკოლას აქვს სასკოლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, რაც დასტურდება წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდმაზე განხილული საკითხებით, ასე მაგალითად: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია სწავლა - სწავლების მიზნები, ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, სასწავლო წლის კალენდარი, საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, საათობრივი ბადე, საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შინსწავლება, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლება, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები. **ესთეტიკური აღზრდის** კათედრაზე, ხელოვნებისა და მუსიკაში შედგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, შესაბამისი ქვეცნებებით, განსაზღვრულია შუალედური მიზნები,მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ საბაზო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. წარმოდგენილი კურიკულუმები კონსტრუქტივისტული პრინციპებზეა აგებული და მოსწავლის როგორც ფიზიკური ასევე გონებრივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებმა შეხვედრისასა ისაუბრეს კურიკულუმის შექმნის პრინციპებზე. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს სკოლიოს ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ინტერესები, რის შესაბამისადაც შეარჩიეს თემები სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური საგნის გრძლევადიანი მიზნები წარმოადგინეს სამიზნე ცნებების სახით, რომელიც მუშავდება თითქმის ყველა თემაში. ხოლო შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეა, რომელიც თავის მხრივ მოძრავი თამაშებისა და სასკოლო ფესტივალის ჩატარებას გულისხმობს. **2.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. შუალედური და გრძელვადიანი უნარების განვითარებით, მოსწავლეთა წინარე ცოდნათა გააქტიურებით, ახალი ცოდნის დაშენებითა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით, საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება **ქართულ ენაში** განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია მოდიფიცირებული დავალებები. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელი**მათემატიკის კათედრის მიერ** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გარკვეული გამოცდილება, მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **უცხოური ენების** - საბაზო საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში მეტწილად მკაფიოდ იკვეთება მიმართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის. დავალებაში განიხილება კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელიც სასწავლო მასალაშია. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ მოსწავლის მიერ თემის სიღმისეულად გაზიარების წინაპირობაა კონტექსტი, თემა და ფაქტობრივი ინფორმაცია, სწორედ ამიტომ აქცენტი კეთდება კომპლექსური დავალებების შექმნაზე; კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. განიხილული კონტექსტ მაგალითი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელიც სასწავლო მასალაშია. მიღწეული მიგნებებისთვის კი მნიშვნელოვანია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებას მიზნობრივად გამოიყენებს; **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** ინტერვიუდან დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისისთვის, კეთედრის წევრები მზად არიანურთიერთ-თანამშრომლობის საფუძველზე მოდიფიცირება მოახდინონ კურიკულუმების, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის საჭიროებებზე, **ესთეტიკური აღზრდის** კათედრის მიერ მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური უნარების და მაკროცნების განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის** კურიკულუმეში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეა. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დღემდე კომპლექსური დავალებები არ განუხორციელებიათ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეგკონტიგენტიანია ჩაუტარებიათ შიდა საკლასო სპორტული ღონისძიება, სადაც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან, თამაშობენ გუნდურად, თანამშრომლობენ, ერთნაირად აღიქვავენ მოგებას და წაგებას, მართავენ ემოციებს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების განხორციელებისას(მოძრავი თამაში, შიდასასკოლო ფესტივალი) გამოყენებული აქტივობები კიდევ მეტად აქტიურსა და განვითარებადს გახდის ამ პოცესებს.**2.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. თვითშეფასებისას იკვეთება, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანის საფეხურის თითოეული მოსწავლის საჭიროება (მზაობა, წინარე ცოდნა,ინტერესები, ინტელექტის ტიპი...), ამისათვის ფიქრობენ, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ არა მარტო მათზე მორგებული სასწავლო რესურსები, არამედ დიფერენცირებული სასწავლო მასალალები. სკოლაში ვიზიტისას **ქართული ენის** პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. **მათემატიკის** საბაზო საფეხურის მასწავლებლები პირველ რიგში ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მსგავსი სტრატეგიებით, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუსას დადასტურდა, რომ მათ აქვთ ახალი გამოცდილება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ-მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორეს მხრივ - განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი **უცხოური ენების** დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება წარმოაჩენს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობას და სწორ ხედვას ამ მიმართულებით. დადგინდა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების სხვადასხვა სწავლის სტილს, სთავაზობენ არჩევანს საკითხებთან მიმართებაში, რაც მოსწავლეების მოტივაციას, ჩართულობას, დამოუკიდებლობას უწყობს ხელს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დეფერენცირების მნიშვნელობაზე, დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მუშაობიდან ჩანს, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესი დანახულია როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართული აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები . სასწავლო პროცესი ნაცნობია თითოეული მათგანისთვის. საგნობრივი გზამკვლევები რომელსაც სკოლა ეყრდნობა საბაზო საფეხურზე კურიკულუმის აგების პროცესში, მათი სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრინციპებს, კერძოდ: თითოეული სამიზნე ცნება და შედეგი განსაზვრულია საბაზო საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად მთელი საფეხურის მანძილზე მიმდინარეობს მუშაობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, პრიორიტეტებს და რეალიზებას. კურიკურუმები შემუშავებულია ესგ-ს გეგმის მიხედვით,მეთოდური მიდგომებით. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ პირისვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით როგორც შინაარსის, ისე პროცესის დიფერენცირება, წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, სკოლის ინფრასტრუქტურა, სპორტული რესურსი, იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლის მიერ გაწერილ აქტივობებში გათვლილია მოსწავლეთა ინტერესები და მასწავლებელების მხრიდან მოსწავლისთვის შეთავაზებულია მათ შესაძლებლობებზე გათვლილი სპორტული აქტივობები, სპორტის სახეობების ელემენტების მარტივად შესრულება, მსაჯობა, ღონისძიების ერთობლივად მოწყობა. განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებები მთლიანად გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი და იგივე დავალების სხვადასხვა აქტივობებით შესრულება. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს ახლო მომავალში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებაზე, შიდა სასკოლო ფესტივალი მძლეოსნობის სახეობების ტექნიკის შესრულებით. რომლის ფარგლებში მოსწავლეები ასრულებენ, როგორც მძლეოსნობის სახეობების ტექნიკებს, ასევე პრეზენტაციას, კედლის გაზეთს, პოსტერს მძლეოსნობის თემატიკით. **2.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საბაზო საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლას დამტკიცებული აქვს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად მეორე მოდელის გამოყენება, რაც 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით **ქართული ენის** კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“ რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა“, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე დაგეგმილი აქვს სადიაგნოსტიკო წერის განხორციელება ქართულსა და მათემატიკაში. **მათემატიკის კათედრამ** წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. შეფასების რუბრიკები რამდენიმე თემისათვის შექმნილია და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებში. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს კათედრის მართებული ცოდნა და გამოცდილება შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრსით. კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოაჩენს კათედრის მზაობას და სწორ ხედვას შეფასების ინსტრუმენტების მართებულად გამოყენების თვალსაზრისით გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასების მეორე ტიპით მუშაობის გამოცდილება სკოლას აქამდე არ ჰქონდა. წარმოდგენილი რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ რომ პედაგოგებს მეტწილად გააზრებული აქვთ თუ რა რესურსით უნდა იხელმძღვანელონ შეფასების რუბრიკის შედგენისას, როგორ მოარგოს შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ ასევე**წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილი აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და განსაზღვრავს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნების მიხედვით. მასწავლებლებმა შეხვედრისასა აღნიშნეს, რომ იყენებენ როგორც განმავითარებელ შფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას ჩათვლის სახით შემაჯამებელი დავალების შესრულებისას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შექმნიან მსგავსი ტიპის განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკების, სადაც ჩათვლის სახითი განისაზღვრება მოსწავლეთა შედეგები თითოეული თემიდან გამომდინარე. **2.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლას შექმნილი აქვს 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩაშენებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. სკოლა და კერძოდ ქართული ენის კათედრა, ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება. თვითშეფასებისას სკოლა საუბრობს იმ მნიშვნელოვან მიდგომებზე, როგორიცაა წინარე ცოდნის გამოყენება. გაითვალისწინონ მოსწავლის მზაობა, განახორციელონ დაკვირვება, შედეგების ანალიზი, პროფესიული საჭიროების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკა უზრუნველყონ. **მათემატიკის** საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წელსაც. სკოლის და **უცხოური კათედრის** მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს სკოლის გამოცდილება. კერძოდ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის,უცხო ენათა კათედრის ოქმში ვკითხულობთ, რომ მოხდა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების და პირველი სემესტრის შედეგების ანალიზი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგთა** ინტერვიურების პროცესში მათი მხრიდან დაფიქსირდა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების მაგალითები და მათი დანერგვის სურვილი მომავალი წლის კურიკულუმში. მათ აღნიშნეს, რომ მუდმივად ახორციელებენ თითოეულ აქტივობაზე დაკვირვებას და ამგვარად შეკრებილი მონაცემების საფუძველზე ღებულობენ შემდგომ გადაწყვეტილებებს. როგორც საბაზო საფეხურის სტემ საგნების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, მათ აქვთ სასწავლო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება და ამ მიმართულებით მომავალი სასწავლო წლისთვისაც გეგმავენ პროექტებით სწავლების მეთოდის გამოყენებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, კათედრის წევრებთან გასაუბრენის შედეგებიდან სჩანს, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას. **ესთეტიკური აღზრდის** კათედრაზე ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შექმნისას გაითვალისწინეს სწავლა - სწავლების პროცესში არსებული საუკეთესო გამოცდილება. რის საფუძველზეც დგება მომდევნო წლის კურიკულუმი. კათედრაზე მოხდა წინა სასწავლო წელს შექმნილი კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული დავალებების მოდიფიცირება და გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილებები. ასევე ხდება შესრულებული კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენა. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო წინა წლის ანალიზი, პრაქტიკა სხვადასხვა მიმართულებით: სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა, ინტერესი სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური სახეობების მიმართ, სპორტულ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა, გამოვლენილი ძლიერ და სუსტი მხარეები, ერთმანეთის გამოცდილება. **2.1.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- უცხოური ენების ოქმი- რესურსი 12
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კათედრის სხდომის ოქმი.
- საზოგადოებრივ მეცნიერება საგნების კურიკულიმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი **ქართული ენის** კათედრის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები, (საბაზო საფეხურზე – „პროექტი „ტაო“), ასევე კათედრის მიერ დაგეგმილი კლუბის ფუნქციონირება „მკითხველთა კლუბი“, „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიებანი და ექსკურსია–პროექტები, რაც კათედრის სამუშაო გეგმით აქვთ განსაზღვრული. **მათემატიკის** პედაგოგების ინტერვიუსას მათ ისაუბრეს, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა გაზომე მთის სიმაღლე, დაგეგმე წვეულება, დახატე გეომეტრიული ფიგურა, დაამზადე სადეზინფექციო ხსნარი, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **უცხოური ენების** სასწავლო პროცესში მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, საგაზეთო სტატია, პოსტერი, პრეზენტაცია, ბუკლეტი, ბროშურა და ა.შ. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არა -ერთი პროექტი. მაგალითად, რუსული ენის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ჩაშენებულია სასწავლო პროექტი “ჩემი სკოლა”, რაც მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას და მრავალმხრივ განვითარებას შუწყობს ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმი საბაზო საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და კათედრა მისი ცდილობს ისე დაგეგმოს კომპლექსურ დავალებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ნაბიჯების მიხედვით მიიღებენ ინფორმაციას, გაანალიზებენ შესწავლილ მასალას, შექმნიან ახალ პროდუქტს, გადაჭრიან პრობლემებს ყოფა -ცხოვრებიდან, გააკეთებენ კლასიფიკაციას , რაც მათ შემოქმედებითობას განუვითარებს და სასწავლო პროცესში აქტიურ მათ ჩართულობას განაპირობებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. სასურველია რომ საერთო საფეხურის შედეგის მისაღწევად განხორციელდეს შესაბამისი კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმები ისტორია,გეოგრაფია,მოქალაქეობის საგნებში. მიუხედავად, იმისა რომ სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი, გაწერილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედით პროცესში ჩართულობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრას შემუშავებული აქვს სასწავლო პროექტები არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობა. ესთეტიკური აღზრდის კათედრის სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების გზით ხდება ცოდნის კონსტრუირება-საკითხით განსაზღვრული ცოდნის კონსტრუქტივისტულად აგება და გააზრება. **ფიზიკური აღზრდა და სპორტი** მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია მათ ინტერესებზე მორგებული სასწავლო გარემო. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სპორტის ის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობები, რომელთა სწავლის გამოცდილება წინა წლებშიც ჰქონდათ. ხოლო კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები განხორციელების პერიოდში, ასევე მოძრავი თამაშებისა და საკლასო/სასკოლო ფესტივალის ჩატარებისას მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი სპორტული რესურსი, ინტერენეტ ბმულები, რომლებიც მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას იწვევს და მათ სასწავლო პროცესში შემოქმედებითობას განაპირობებს. **2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საბაზო საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მათი ხედვით, საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. სამომავლოდ კათედრა გეგმავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **მათემატიკის** პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი - ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად, „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“, „მთის სიმაღლის გაზომვა, მაღალი შენობის სიმაღლის დადგენა“, „უცნაური კამათელი“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტების შესწა ვლით, ასევე **უცხოური ენების მასწავლებლებთან** გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების/საკითხების, როგორიცაა „ბულინგის სახეები“, „საქართველო და გერმანიის სასკოლო განათლების თავისებურებები“, გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა , ინტერესები და ცოდნის კონსტრუირება ხდება ნაცნობ თემატიკაზე დაყრდნობით. სკოლას და კათედრას ასევე აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება. წარმოდგენილ ერთწლიან გეგმაში და კათედრის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პროექტები , ღონისძიებები და მკითხველთა კლუბის ორგანიზება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** სკოლას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისად აქვს გამოკვეთილი საბაზო საფეხურის თითოეული კლასისთვის არსებული თემატური ბლოკები, რომლებიც მოსწავლეებში იწვევენ ინტერესს. როგორც ინტერვიუში აღინიშნა, იყენებენ ტესტებს, ასევე აქტუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში. სტემ საგნის პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს, რომ მოსწავლეები დიდი ხალისით ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის უნარებს ანალოგიებზე დაყრდნობით და ნაცნობი კონტექსების უზრუნველყოფით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ **გეოგრაფიის საგანში** სრულად არის ჩაშლილი თემები და საკითხები, კონტექსტმაგალითბიც კი. **მოქალაქეობის საგანში** წარმოდგენილ დოკუმენტებში: რომელიც (მოთხოვნის საფუძველზე) წარმოგვიდგინა სკოლამ ყველა თემა სრულყოფილად მოიცავს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს, საკითხებს. მოყვანილი აქვთ კონტექსტმაგალითები და წარმოდგენილი აქვთ რესურსები ისე როგორც სტანდარტის მოთხოვნებს შეესაბამება. **ისტორიის საგნის** კურიკულუმები სრულყოფილად არის ჩაშლილი, სამიზნე ცნებები,ქვეცნებები.. კათედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წევრები გამოთქვამენ მზაობას კურიკულუმის მოდიფიცირებასთან დაკავშრებით, რომელიც სტანდარტთან იქნება შესაბამისობაში და შემუშავებული კურიკულუმები მორგებული იქნება მოსწავლეებზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმები, მასში საკითხები დაყოფილია თემების მიხედვით, აღნიშნული თემებში შემავალი საკითხები ეფუძნება წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მომდევნო სასწავლო წელს ახალი დავალებების შექმნა მათ დაეხმარება საკუთარი უნარ-ჩვევების განმტკიცებაში. მარტივიდან რთულისკენ განვითარების გზით ხდება ცოდნის კონსტრუირება-საკითხით განსაზღვრული ცოდნის კონსტრუქტივისტულად აგება და გააზრება. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში თემები და მის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები ისეა გაწერილი, რომ სწავლა სწავლების პროცესი წარიმართება ნაცნობიდან უცნობისკე. კურიკულუმები კონტექსტ მაგალითზე დაყრდნობით იძლევა შესაძლებლობას მოსწავლისთვის შეთავაზებული იყოს უკვე ნასწავლი აქტივობები, როგორიცაა მოძრავი თამაშები შესწავლილი უკვე განვლილი თემებიდან, რაც მოსწავლის შინაგან ძალებს ააქტიურებს, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს და ახალი ცოდნის შეძენის სურვილს აღძრავს. **2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები იკითხება კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. **მათემატიკის** სწავლებისას მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელ შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. **უცხოური ენების კათედრაზე** კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ნებელობის გაძლიერებასა და მათ დაინტერესებას. კათედრასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთ შეფასების ინსტრუმენტებს როგორიცაა თვითშფასების და თანაშეფასების სქემები, კითხვარები, რაც სწავლის სწავლას და ავტონომიურობას უწყობს ხელს. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მეტწილად იძლევა საშუალებას სწავლების პროცესში ისინი დაეუფლონ და განივითარონ სხვადასხვა უნარები - ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის სტრატეგიების და სხვა.. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობა. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები მოსწავლეს უბიძგებს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მოსწავლის ან თანატოლისგან. კეთებით სწავლის მოდელის გამოყენებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი: შექნმას მოდელები; მაგ- პარაშუტის მოდელი; დაამზადოს მოლეკულის მოდელი; ჩაატაროს მარტივი კვლევა და შექმენით კვლევითი ნაშრომი, რომელსაც წარმოადგენს პრეზენტაციით ppt; დაამზადოს საინფორმაციო ბუკლეტი, პოსტერები. სკოლას აქვს მოქმედი ფიზიკის ლაბორატორია, რომელიც საჭიროებს განახლებას; მასწავლებლები ინტერვიურებისას საუბრობენ ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების შესაძლებლობას, აქცენტს აკეთებენ საჩვენებელ ექსპერიმენტებზე, რომლის განხორციელება შესაძლებელია ონლაინ რესურსის გამოყენებით და მარტივი საშინაო ცდების დაგეგმვით. ამ კუთხით დამხმარე რესურსად ასევე იყენებენ ტელესკოლის გაკვეთილებს. სკოლის სტემ მასწავლებლები იზიარებენ ხედვას სასკოლო ლაბაროტარიის გამთლიანების (ფიზიკის ლაბორატორიის ბაზაზე - ქიმიის და ბიოლოგიის საგნების გათვალისწინებით სტემ ლაბორატორიის მოწყობის აუცილებლობაზე;) ფიზიკის სივრცეში მიუხედავად იმისა რომ ძველი ხელსაწყოებია, მასწავლებლის დახმარებით ყველა ხელსაწყო მუშა მდგომარეობაშია და იყენებს საგაკვეთილო პროცესში აქტიურად. სკოლის ადმინისტრაციის და კათედრის ეფექტური კომინიკაციით და შესაბამისი სამსახურების მხარდაჭერით შესაძლებელია ამ საკითხის მოგვარება და სკოლის ლაბორატორიის მოწყობა; ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების პრაქტიკას ასაბუთებენ ინტერვიურებისას; სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად; თუმცა ამის პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს; საბაზო საფეხურის **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმები გათვლილია, ისე რომ კომპლექსურ დავალებებში ძირითადი აქცენტი მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზეა. მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრები აქტიურად იყენებენ სწავლის ისეთ სტრატეგიულ მიდგომას, სადაც აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ესთეტიკური აღზრდი კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ აქცენტი კეთდება იმგვარად, მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუების დროს აღნიშნეს და თვითშეფასების ფორმაშიც წერია, რომ კომპლექსური დავალებების დანერგვამ ხელი შეუწყო სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. სწავლების პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთერთეშეფასების ფორმებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს მათ მიერ გამოყენებული წამახალისებელ თუ განმავითარებელ კომენტარებზე, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს მისი ძლიერი და სუსტი მხარე, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე, შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, განსაზღვროს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას დაფიქრდეს და მიხვდეს რომელმა ხერხმა თუ მეთოდმა მოუტანა დადებითი შედეგი, განსაზღვროს რომელი ფიზიკურ თვისების განვითარება ესაჭიროება, რომელი ვარჯიშები თუ ფიზიკური აქტივობები დაეხმარა ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებაში. თვითრეფლექსიისა და მასწავლებლის უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. **2.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (<u>დეკლარატიული ცოდნა),</u> სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის <u>პროცედურულ ცოდნად</u> და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში <u>პირობისეულ ცოდნად</u> აყალიბებს. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლა ასევე წარმოგვიდგენს პროექტული სწავლებისას **ქართულ ენაში,** რაც გასაუბრებისას სრულიად გააზრებულად დაადასტურა კათედრამ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პედაგოგები შეხვედრაზე აქცენტს ასევე აკეთებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. **მათემტიკის** სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება. კომპლექსური ბუნების დავალებები **უცხოურ ენებში** და პროექტები თავისთავად ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნაზე და გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას , აგებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. დგინდება რომ უცხოური ენების კათედრას აქვს გარკვეული გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები. კათედრის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სასწავლო პროექტების და ღონისძიებების განხორციელება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისთვის მოსწავლე სწავლობს ფაქტობრივ მასალას და იყენებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად. საუბრისას მასწავლებლებმა აჩვენეს, სწორი ხედვა ამ მიმართულებით. კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული და ტელესკოლის გაკვეთილები, როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ტაბულები, ატლასი, პოსტერი, მარტივი საშინაო ცდისთვის საჭირო რესურსები, მარტივი ექსპერიმენტები რომლებიც დაგეგმილი აქვთ სასწავლო პროცესში. საჭიროა სკოლის ადმინისტრაციასთან კოორდინირებული თანამშრომლობით სკოლამ უზრუნველყოს ცდისთვის საჭირო რესურსების მობილიზება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება; როგორც **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი** დოკუმენტებიდან და მასწავლებლის გასაუბრებიდან ჩანს, პედაგოგებს სასწავლო კურიკულუმები დაგეგმილია, ყველა თემაში ჩაშლილია კომპლექსური დავალება. **ესთეტიკის კათედრაზე** ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში. კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებები კი ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული. შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **ფიზიკური აღზრდისა და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტის -კურიკულუმებში გაწერილი თემიდან გამომდინარე საგნობრივი საკითხები მოსწავლისგან არა მარტო ფიზიკური აქტივობების ტექნიკურად შესრულებას გულისხმობს, არამედ თეორიულად, გააზრებულ სწავლებას. მნიშვნელოვანია მოსწავლემ იცოდეს სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების ფარგლებში გაწერილი საკითხების არა მარტო ტექნიკური ელემენტების შესრულების წესი, რაც მრავალჯერადი შესრულების შედეგად იხვეწება, არამედ ამ სპორტის სახეობის ისტორია. კომპლექსური დავალების განხორციელების ფარგლებში, სადაც მოსწავლეებს უწევთ უკვე შესწავლილი საკითხების წარმოჩენა იქნება ეს თეორიული თუ პრაქტიკული ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე . **2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** კათედრა გეგმავს სამომავლოდ სწავლის პროცესი მიმართოს ისე, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ტრანსფერი. **მათემატიკის** .სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ დაწყებითების კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა და ქიმია საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკა საგნებს შორის) . საბაზო საფეხურზე, **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების პროდუქტის იდეები მაგალითად, როგორიცაა პოსტერის, სტატიის, ბროშურის, წერილის, ბუკლეტის შექმნა, პრეზენტაცია. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე. იგულისხმება, მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით საბაზო საფეხურზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებმა ინტერვიურებისას ხაზი გაუსვეს თემატური დაგეგმვისას კომპლექსური დავალებების უპირატესობას, რომლებიც გათვალსიწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სწორედ ის ასპექტები, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშულებას იძლევა. პედაგოგემა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა რომ საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. მომავალი სასწავლო წლისთვის კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას საბაზო საფეხურის პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთადაკვშირებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმებიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებელი ცდილობს დაგეგმოს საკითხები, ისე რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და დაინახონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, გამოიყენონ სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობა, როგორიცაა სასკოლო და სოციალური პროექტები და კომპლექსური დავალებები,სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები. **ესთეტიკური აღზრდის** მასწავლებელთა გასაუბრებიდან, თვითშეფასების დოკუმენტიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს რომ კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში კომპლექსური დავალებებით ორიენტირება კეთდება საკითხების სიღრმისეულ სწავლებაზე, ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, მის მობილიზებას და ცოდნათა ორგანიზებას მოითხოვს. ხოლო პროექტული სწავლების დროს სწორი ჯანსაღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კვების, მავნე ჩვევების ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ საგანთა შორის კავშირების დამყარებას და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. **2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი **ქართულში** ეყრდნობა საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, ასევე კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შექმნილ პროდუქტებში, რომელშიც კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. თუმცა აქვე შენიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **მათემატიკის კათედრის** მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ კლასის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა. სკოლის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, უმეტეს შემთხვევაში კომპლექსურ დავალებას ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სადაც წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენები და მოლოდინები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** წარმოდგენილ კურუკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავასკვნა, რომ გამოვლინდა რიგი ერთგვარი ტიპის მცირე უზუსტობები, გავლენას ვერ ახდენს მთლიან პოზიტიურ სურათზე და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი სტანდარტები აჩვენებს რომ: სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი და მისკენ მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, მათი საშუალებით კი მუშავდება სამიზნე ცნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრას დაგეგმილი აქვს საფეხურის მიხედვით ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმი. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩო ყველა საფეხურზეა წარმოდგენილია. გეოგრაფია VII-VIII-IX კლასი კურიკულუმის ჩარჩოში საკითხები ისეა ჩაშლილი, რომ სრულად ფარავს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს. გაწერილია სსაწავლო რესურსებით, რომელიც სახელმძღვანელოსთან არის შესაბამისობაში. მოთხოვნებს. მოქალაქეობა VII-VIII-IX კლასი. საგანში მასწავლებელს მოყვანილი აქვს თემაში ჩაშლილი ცნებები, საკითხები, კონტექსტმაგალითები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რესურსებს იყენებს მხოლოდ სახელმღვანელოდან და **სასურველია,** მასწავლებელმა გამოიყენოს სხვა მრავალფეროვანი რესურსებიც. ისტორია VII-VIII -IX კლასი- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კუკულუმი სრულად მოიცავს სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, რომლებიც მიემართება ე.ს.გ-ს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი ნაწილობრივ** შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს. ესთეტიკური აღზრდის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. სასწავლო თემები შერჩეულია ეროვნულ სასწავლო გეგმით რეკომენდირებული თემატური ჩარჩოს გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების მნიშვნელობის გააზრებასა და დავალებასთან დაკავშირებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრაზე შერჩეული თემებში გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, საგნობრივ საკითხებში იკვეთება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, რაც გამოიხატება სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობების ტექნიკის შესწავლით. კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით არის შერჩეული. **2.2.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საბაზო საფეხურზე **ქართული ენის** კურიკულუმებში აქვს ისეთი სასარგებლო აქტივობებს, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა საუბრობს საბაზო საფეხურის მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს. **მათემატიკის კათედრაზე** ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა, სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. ეს მიდგომები გათვალისწინებული სასწავლო პროცესის განხორციელების დროსაც. **უცხოური ენების** წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები და იდეები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას როგორიცაა პოსტერი, სტატია, წერილი, ბუკლეტი, ბროშურა. ამ პროდუქტებზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების, არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია მკითხველთა კლუბის და პროექტების და ღონისძიებების განხორციელება.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. - სკოლას აქვს ხედვა თუ როგორ წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი შესაბამისად მიემართება მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური განვითარებისკენ. იმისათვის რომ, მოსწავლე ჩამოყალიბდეს პიროვნებად აუცილებელია ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა. ამისთვის კი სასურველია მოსწავლეები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სოციალურ პროექტებში. სკოლამ უნდა გააძლიეროს პროექტული სწავლება **საბუნებისმეტყველო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერებების მიმართულებით, როგორც საგნობრივ ისე საგანთაშორის და სასკოლო დონეზე; **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს და ინტერესებს, ცდილობენ მოსწავლეში განავითარონ გამჭოლი უნარები, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა ჩართულობა, რომელსაც ადასტურებს ატვირთული დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ, რომ ყოველი თვის ბოლოს იმართება მშობელთა კრებები, სადაც მშობელი იღებს შვილის აკადემიურ მოსწრებისა და დასწრებისა, თუ ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციას. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ხშირად აწყობენ სხვადასხვა შემეცნებით ექსკურსიას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესში იძენენ და ეფექტურად იყენებენ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა ემოციების ჩამოყალიბება-გამყარებისთვის. ამჟღავნებენ ემპათიას სხვების მიმართ, ამყარებენ და ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობებს. მოსწავლის სოციალურ-ემოციური განვითარება საზოგადოების კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარი საყრდენია. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** -კურიკულუმებში შერჩეული თემები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ჩატარებული საკლასო/სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, პიროვნული და ფსიქო სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. სპორტის გუნდური სახეობების შესწავლისას ვლინდება, როცა მოსწავლეებს უწევთ გუნდურად თამაში. მართავენ ემოციებს, ეხმარებიან და ზრუნავენ ერთმანეთზე, ეჩვევიან მოგება/წაგებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. **2.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას (კითხვების დასმას, იდეების გენერირებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის დანახვას სხვადასხვა მხრიდან და სხვა.) დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებული შეფასების ფორმებისა და ინსტრუმენტების ჰოლისტურ ხასიათს, სკოლის აზრით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირი. აღნიშნული კომენტარით შეფასება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მასწავლებლის მხარდაჭერით მოახდინოს პროგრესი/განვითარება. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი შეფასება იყოს უფრო მხარდამჭერი, წამახალისებელი, განვითარებაზე ორიენტირებული. **მათემატიკა** -მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. **2.2.2.3** სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების მართებული იდეები, როგორიცაა მაგალითად, „წერილი უცხოელ მეგობარს საქართველოს სასკოლო განათლების შესახებ“, დისკუსია „ ბულინგის სახეებზე ‘’, „ ტურისტული ბროშურა“. დგინდება ,რომ ცოდნის კონსტრუირება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე . უცხოური ენის მასწავლებლებს აგრეთვე აქვთ გამოცდილება ზეპირი და წერილობითი განმავითარებელი შეფასების თვალსაზრისით.კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, მართებული ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი ,რომ უცხოური ენების კათედრას შეუძლია გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები : დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - .სწავლა - სწავლების პროცესი ეფუძნება ცოდნის კონსტრუირებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ რომ საბუნებისმეტყველო საგნებში მეტწილად დაცულია შეფასების ძირითადი პრინციპები. შეფასება მეტწილად ვალიდურია - შესაბამისობაშია მიზნებთან. წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკების დაყრდნობით ვლინდება, რომ პედაგოგმა სასწავლო წლის განმავლობაში სოლო ტაქსონომიის საფუძველზე უნდა განვსაზღვროს მოსწავლის ცოდნის დონე, მის დადებითი და უარყოფითი მხარეები და განმავითარებელი შეფასებით და წახალისებით მოსწავლეს მისცეს მიმართულება და მოტივაცია. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კ**ათედრის წევრთა მიერ ატვირთული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ისინი 2023-2024 გამოიყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი ზეპირ შეფასების რუბრიკებს და კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ სოლო ტაქსონომიით, რომელზეც იმუშავეს ქოუჩინგის პროცესში. ესთეტიკური აღზრდა - გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ დაგეგმილი აქტივობებით სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა შემოქმედებითობა, თავისუფალი აზროვნება, ღიაობა, მოქნილობა. იყენებენ ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ისეთ კომპეტენციებს, რაც ინტეგრირებულ ერთიან და სისტემურ აზროვნებას მოითხოვს. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** -კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემებიდან გამომდინარეობს და იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას. შემუშავებული შეფასების რუბრიკის ანალიზის საუძველზე მასწავლებელს შესაძლებლობა ექნეა განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები სამიზნე ცნების ფარგლებში. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე გამოყენებულ განმავითარებელ შერფასებაზე და აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შესასების მსგავსად შეიმუშავებენ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომელიც ასევე მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **2.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა 2023–2024 წლის დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ქართული ენის** კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიმართ, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჰქონდეს. კათედრაზე გასაუბრებისას იკვეთება, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია მეტი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკებისა და შემაჯამებელი დავალების შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და მისი გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის უზრუნველყოფა, რისი ნიმუშებიც მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი. **მათემატიკის** პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს, შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს, მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს,მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან ერთი კომპონენტის მიხედვით: 1.შემაჯამებელი დავალება; სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: 1.შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). საბაზო საფეხურზე შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. **უცხოური ენების** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დგინდება,რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების II მოდელს, ასევე შეირჩა სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად მეორე ინსტრუმენტი, რომელსაც წელიწადში ერთხელ, მაისში განახორციელებენ(რესურსი 12). კათედრას აქვს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა.პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიისთვის გეგმავენ დაკვირვებას 2-3 მოსწავლეზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაც გაზიარებული იქნება კათედრაზე და დაიგეგმება ინტერვენციები გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად(რესურსი12). კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებებისთვის რაც შესაბამისობაშია გაწერილ მიზნებთან. გასაუბრებისას დადგინდა ,რომ მასწავლებელბი წინასწარ აცნობენ/უზიარებენ მოსწავლეებს შეფასების კომპონენტებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შეფასება, სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც სასკოლო საზოგადოების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ცხადყოფს რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავა მასწავლებელმა ესა თუ ის რუბრიკა, რა პრინციპით აარჩია შეფასების ინსტრუმენტი და მისი შინაარსი ჩამოყალიბდა გრძელვადიან მიზანთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა კრიტერიუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ** წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრის წევრები იყენებენ განმსაზრელ შეფასებას და განმავითარებელს, სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიიდან ჩანს,რომ 2023-20024 სასწავლო წელს სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას და ასევე განმავითარებელს, რომელიც ეხმარება მოსწავლის საჭიროების დადგენაში.შეფასება არის, ვალიდური, ობიექტური და გამჭირვალე. **ესთეტიკური აღზრდა** - მოწოდებული დოკუმენტაციით დადგინდა რომ კათედრის წევრები მოსწავლეებთან ერთად მუშაობენ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მასწავლებელი აძლევს რჩევას როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით, რითაც ეხმარება მოსწავლეს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებისთვის იყენებენ სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობას, რითაც ამოწმებენ სწავლა-სწავლების შედეგებს და ამავდროულად მოსწავლეს აფასებენ. **ფიზიკური აღზრდა და სპორტის**-შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეების შეფასება განხორციელდეს თემის ფარგლებში სამიზნე ცნების მიხედვით. მასწავლებელმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ კონკრეტული თემის დაწყებისას მოსწავლეებს აცნობს შეფასების რუბრიკას. მოსწავლეებმა იციან, რომ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, თამაშის წესების ცოდნა თუ უსაფრთხოების დაცვა ფასდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, იქნება ვალიდური გამჭვირვალე და სანდო. **2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, პრინციპები, პროცესი და განმახორციელებელი პირები. აღნიშნული ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას, რომ უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესის სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობას და სამართლიანობას, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები იყოს - ზუსტი. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ მოხდება სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება(ურთიერთდასწრება, რუბრიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავება,დიაგნოსტიკური წერები,შემაჯამებელი დავალების ანალიზი) და განვითარება მოსწავლეთა შედეგების, მიღწევების ობიექტურად და სამართლიანად ანალიზისთვის და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **2.2.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების (მოსწავლეთა პირადი საქმეების, ბრძანებების; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმების, კათედრის სხდომის ოქმების) შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით. **მათემატიკის** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები. აღნიშნული საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთა მართველთან. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**, **უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი** -სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადოდ აღრიცხვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით; **უცხოური ენები** -სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა აწარმოებს ელ. ჟურნალებს, სადაც შეფასების წესის შესაბამისად ხდება შეფასების შეტანა და შესაბამისად შენახვა. სკოლა ასევე კანონმდებლობის დადგენილი ვადით აწარმოებს და ინახავს მოსწავლისა და მასწავლებლის პირად საქმეებს. **2.2.2.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით,სკოლას სურს დამოუკიდებელი, თავისუფალი და საკუთარი ღირებულებების შემოქმედi მოსწავლეები აღზრდა, ჩამოუყალიბოს მოზარდებს ისეთი კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების ჩამოალიბებას, სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ეთიკური ნორმები, ემპათია, კვლევა. სკოლა სასკოლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში განსაკუთრებით გამოყოფს და პირდაპირ ამბობს, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში. **2.2.3.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდამჭერ და საჭიროებებზე მორგებულ გარემოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო გეგმიდან, სადამრიგებლო პროგრამებიდან ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებზე ორიენტირებულ გარემოს. **2.2.3.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

მათემატიკის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები (რომლიდანაც ჩანს კათედრებს შორის თანამშრომლობა, მაგალითად: საუბარია CK12-ის პლათფორმის გამოცდილების გაზიარებასა და გაკვეთილზე გამოყენებაზე), სასკოლო და სასწავლო პროექტები(მაგალითად: „გახდი კარგი ციფრული მოქალაქე“, „ვინ იქნება გამარჯვებული“), მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაში ასახულია კათედრების მუშაობის პრინციპები და ფუნქციები. აღნიშნულ დოკუმენტზე და **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა და კერძოდ ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაში შედიან ქართულის და უცხოური ენების მასწავლებლები, თანამშრომლობენ და სხვა საგნებთან კოორდინირებულად მუშაობენ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას წარმოჩინდა თანამშრობლობითი კულტურა. კერძოდ, კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. უზიარებენ გამოცდილებას, რესურსებს, ერთად მსჯელობენ და ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრაზე** საბაზო საფეხურზე დაგეგმილ კურიკულემებში შუალედურ მიზნებზე გათვლილი კომპლექსური დავალებებით სწავლებამ, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანმა სასწავლო აქტივობებმა გამოკვეთა, რომ სკოლას გააჩნია თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის ურთიერთობის მაღალი დონე. **2.2.3.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

მათემატიკის პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური საკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.**ს**კოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში(ერთწლიანი სასწავლო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) წარმოდგენილი მიზნები, აქტივობები, კულტურა, სასკოლო კათედრების ფუნქციები, დამრიგებლების ფუნქციები და ა.შ. ზოგადად წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობას და განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს. **უცხოური ენების** კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა მასწავლებლების პოზიტიური დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. საზოგადოებრივი მეცნიერებათა **კ**ათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარებისათვის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია ჩართული; პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად და პრობლემების პრევენციის მიზნით ცდილობენ სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვას, რომელსაც ადასტურებს ატვირთული დოკუმენტები. **2.2.3.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების ექსვწლიანი გეგმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- კურიკულუმები
- სასკოლო პროექტები
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
- უცხოური ენების ოქმი-რესურსი12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა და უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, ანალიზს უკეთებენ სასწავლო პროცესს რასაც ყოველთვის ითვალისწინებენ. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში გამოიყენეს წინა სასწავლო წლის პრაქტიკა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. ერთწლიან სასწავლო გეგმაში გაწერიალია სასწავლო პროცესის მონიტორინგი მოსწავლეთა, მასწავლებელთა,მშობელთა გამოკითხვით და მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინებით თანმდევი ღონისძიებების განხორციელება. უცხოური ენების მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ კვლევა რაც კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების შედეგების ანალიზს და ხარისხის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროცესი განხორციელდება 2-3 მოსწავლეზე დაკვირვებით კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში. მიღებული შედეგების განხილვა, გაზიარება მოხდება კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაცასთან, რათა დაიგეგმოს ინტერვენციები გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. **საბუნებისნეტყველო მეცნიერებები** - სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობა მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალების განვითარების პროცესში მათ მიერ გაკეთებული მონიშვნები მოსწავლის პროგრესის აღსანუსხად მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი საშუალება იქნება; გარდა ამისა სკოლა თვითშეფასების კითხვარში საუბრობს მონაცემთა შეგროვების სხვა ხერხებზე: მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზზე. მნიშვნელოვანია განმავითარებელი კომენტარის, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსიის, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაციის და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება, რაც მიმდინარე სასწავლო წელს უნდა გაითვალისწინოს სკოლამ. შეფასება გვაძლევს ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის, მასწავლებლის წინსვლის, მიღწევის და არსებული პრობლემების შესახებ. 2023-2024 წლისთვის სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების შემოღებას, რომლის მიზანი იქნება სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასება, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოტივაციაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერების** კათედრის მასწავლებელთა გასაუბრების შედეგიდან ჩანს, რომ სკოლას გათავისებული აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვა, განხორციელება და მონიტორინგის პრინციპი , რომლის შეფასების მექანიზმებს კათედრა დირექციასთან ერთად 2023-2024 სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს. **2.3.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტი**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

თვითშეფასების განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ შეფასებას და მონიტორინგს გამოიყენებენ არა პედაგოგთა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად, ამისთვის გეგმავენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შექმნან როგორც მონიტორინგის, ისე შეფასებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო/გეგმა, რომლის გამოყენებით კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას.ს ტრატეგიულლი განვითარების ექვსწლიან გეგმაში გაწერილია თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება სასკოლის საზოგადოების ჩართვით, რისთვისაც პერიოდულად შეიმუშავებენ კითხვარებს, ჩაატარებენ კვლევებს. **ქართული ენისა და ლიტერატურის,უცხო ენათა** კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება, რაც ასევე ორიენტირებულია პროფესიულ ზრდაზე და სწავლის ხარისხის, კურიკულუმების გაუმჯობესება-განვითარებაზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - შეფასება ინფორმაციის შეგროვების ერთ ერთი ფორმაა და გვაწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მასზე დაყრდნობით კი ვგეგმავთ მომდევნო სასწავლო პროცესს. შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება კი გვეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში,l შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობაში. -მონიტორინგის განხორციელებასა და შეფასების სისტემის შესამუშავებლად, მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობის განვითარებისთვის სკოლა **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** გეგმავს საჭირო ღონისძიებების გატარებას; ,,კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის განვითარებას, კათედრის ფარგლებში კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და მონიტორინგს. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ერთმანეთის დახმარებით ხელს შეუწყობენ ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის ამაღლეს. **2.3.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლა ასევე გეგმავს მუდმივი სისტემური მონიტორინგის დანერგვას „სვოტ"ანალიზის გამოყენებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია შიდა სასკოლო მონიტორინგის სისტემა და პრინციპები. **უცხოური ენების** კათედრა აპირებს ისეთი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას როგორიცაა დაკვირვება, კვლევა, კითხვარები, გაკვეთილებზე დასწრება, სემესტრული და წლიური ანგარიშები. უცხოური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ აქვთ პრაქტიკა და გამოცდილება თვითშეფასების, რეფლექსიის, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრების, მშობლებთან გასაუბრების რაც პროფესიულ ზრდაში, კურიკულუმების და სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში უწყობთ ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრებთან შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ** შეფასების დროს გათვალისწინებულია აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მქონე ფაქტორები, კერძოდ: სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. დაწყებით საფეხურზე შეფასების წარმოებისას ვითვალისწინებთ არაერთ ფაქტორს, თუმცა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. **საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის** პედაგოგები წლის ბოლოს შეფასების ანალიზის საფუძველზე გამოავლენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაბამისად განახორციელებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ კურიკულუმს. **2.3.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ **ქართული ენის** კათედრას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების განხორციელებას II-XII კლასებში, რომლის მიზანი სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასებაა, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. კათედრაზე პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანად მიიჩნევენ იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, რომელშიც მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა. **მათემატიკის** პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ინფორმაციის წყარო შესაძლოა იყოს: მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. **უცხოური ენების** კათედრას სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ისეთი აქტივობების განხორციელება როგორიცაა პროექტი, კლუბი, ღონისძიება, დიაგნოსტიკური წერა, დაკვირვება, რაც მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლის შეფასებას შეუწყობს ხელს. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ, მასწავლებელები ითვალისწინებენ მოსწავლეების უნარებს, შესაძლებლობებს მშობლებთან, კოლეგებთან, დამრიგებლებთან და დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას** 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების რუბრიკების შემუშავება, რომელიც გულისხმობს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. **2.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ **სახელმწიფო ენის** კათედრას აქვს გააზრებული, გააანალიზოს, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. სკოლა თვითსეფასებისას ხაზს უსვამს ხედვას, რომ თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე კონტექსტებისა და ფოკუსების განსაზღვრა, რაც მოცემულ კონტექსტში ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. **მათემატიკის პ**ედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს: სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, **უცხოური ენების** კათედრის გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ბუნების საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მშობლების, კოლეგების, მოსწავლეების მოსაზრებები. ასაკობრივი მახასიათებლები, ინტერესები,ს აჭიროებები, აკადემიური მოსწრება. გარდა ამისა, სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები როგორიცაა პროექტები, კლუბები, კვლევები უზრუნველყოფს მრავალფეროვანი კონტექსტების გამოყენებას და თავისთავად მოსწავლის მრავალმხრივად შეფასებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრასთან** ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოიკვეთა მასწავლებელთა მიერ მოსწავლეების შეფასების დადებითი ტენდენციები, მონაცემთა შეგროვების პროცესში გათვალისწინებულია მრავალი სხვა კონტექსტი. სკოლა გამოკვეთს კომპლექსური ბუნების დავალებას როგორც საშუალებას, მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა ტიპის აქტივობაში ჩართულობის შესაფასებლად მისი ინდივიდუალური კოგნიტური უნარებისა თუ ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. **2.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის შეფასების პროცესში **სახელმწიფო ენის და მატემატიკის** კათედრას დაგეგმილი აქვს დანერგოს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს მონიტორინგის განხორციელდებას მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გზით. სკოლას მიაჩნია, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე, ხოლო მისი ინსტრუმენტების მრავალფეროვნება მოეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. **მათემატიკის, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხოური ენის პ**ედაგოგები გასაუბრებაზე ასახელებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორადი მონაცემების ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **2.3.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის ხედვებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. თუმცა ძირითადი ამოცანების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადასაჭრელად **სახელმწიფო ენის კათედრაზე** მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს ანიჭებენ, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. ასეთ დროს მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. პედაგოგები საუბრობენ, რომ შეფასებისას ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომას, რათა თითოეულ მოსწავლეში სხვადასხვა უნარის უპირატესობა გამოკვეთონ. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.. სკოლის მიერ ატვირთული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა** იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს მოსწავლეებთან, მათი საჭიროებების მიხედვით, ჩართული ჰყავს სხვადასხვა პროექტებში. **უცხოური ენების** კათედრის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ__შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო-სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. **2.3.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა;
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა სადაც აღწერიალა სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკითხები, რაც კურიკულუმების დახვეწის და განვითარების საწინდარია. გასაუბრებისას **უცხოური ენების** მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ ახალი კურიკულუმების გამოყენებისას /დანერგვისას განახორციელებენ დაკვირვებას ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სისტემატიურად განახორციელებენ თვითშეფასებას/რეფლექსიას და კოლეგებთან ერთად მოახდენენ გაუმჯობესების გზების დასახვას. **რაც შეეხება საზოგადოებრივი მეცნიერებებს,** გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოება აანალიზებს მონაცემებს, შემუშავებული აქვს კურიკულუმი 2023-2024 სასწავლო წლისთვის, სადაც გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის მეთოდოლოგია. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ გამოცდილების ანალიზის შესაბამისობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ქმნიან კურიკულუმის მოდიფიცირებას. სსსმ მოსწავლისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ასევე ახდენენ მოსწავლეებზე მორგებული გეგმების მოდიფიცირებასაც. დირექცია უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შეხვედრას, სადაც დაგეგმილია კურიკულუმის განვითარების გზების განხილვა.სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, კერძოდ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ნაწილში აქვს ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს: სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის კვლევას და შესაბამის რეაგირებას, თანმდევი დამატებითი სამუშაობის ჩატარებას. კურიკულუმის განვითარება სწორედ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ნაწილია, ამ პროცესში კი საგნობრივი კათედრები გამოთქვამენ მზაობას ერთობლივი მუშაობით შემუშავდეს მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი კურიკულუმთან მიმართებით. **2.4.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ყოველთვის ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ახალი კურიკულუმების, სასწავლო მასალის, აქტივობების, დამატებითი რესურსების გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინეს წინა სასწავლო წლის გამოცდილება, კათედრის შეხვედრაზე განიხილეს შემაჯამებელების ანალიზები, მასწავლებლების რეფლექსიები, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი საუკეთესო პრაქტიკა, განხორციელებული დავალებების ძლიერი და სუსტი მხარეები, დასახეს ინტერვენციები როგორიცაა დაკვირვება, კვლევა თუ როგორ მიმდინარეობს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა. სკოლამ **საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების** ინტერვიუს პროცესში და აგრეთვე თვითშეფასების ნარატივში გამოკვეთა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა იქმნება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და მუდამ ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რაც ლოგიკური და აუცილებელია მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში. **2.4.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხოური ენები სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა
- კურიკულუმები
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმები.
- კურიკულუმები-საბაზო საფეხურის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს. **უცხოური ენების** პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოებასთან, კათედრის წევრებთან და ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულმების შედგენის დროს მოხდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი. - კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საშუალო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო** მიმართულებით სტემ საგნების კურიკულუმის შედგენისას, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს;. სკოლაში იგეგმება კათედრის სამუშაო შეხვედრებზე შედეგების განხილვა და ანალიზი, რათა უკეთ მოხდეს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და შემდეგი სასწავლო წლისთვის გათვალისწინება შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები და მოიაზრებს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის აქტიურ ჩართულობას სასკოლო საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. ინტერვიურებისას საუბრობენ იმ აქტივობებზე რომელიც განახორციელეს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მაგ: საკითხების შერჩევა, საკითხების განსაზღვრა, შეფასების ინსტრუმენტების განხილვა. **2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. კერძოდ, **უცხოური ენების** კათედრაზე დაგეგმილი აქვთ ყველა კლასში კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება, რომლის შემუშავებისას მასწავლებლებმა საკუთარი მოსწავლეების ინტერსები, საჭიროებები გაითვალისწინეს მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციით და დირექციასთან თანამშრომლობით. წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** კურიკულუმებში ასევე ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რადგან მის შემუშავებაში აქტურად იყო ჩართული ადმინისტრაცია, საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები, მშობელთა წარმომადგენლები. წლის განმავლობაში მასწავლებელთა მიერ განხორციელებული რეფლექსიების, მიგნებების, სასწავლო პროცესის ანალიზის საფუძველზე მოხდება კურიკულუმის განვითარება, რევიზიის შედეგად მიღებული შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის შემუშავებისას. ის ფაქტი, რომ სასწავლო წლის დასაწყისში საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და აცნობს სასკოლო დოკუმენტების შინაარს, ისმენს მშობლების მოსაზრებას და თანამშრომლობს მათთან აჩვენებს სკოლის მზაობას აქტიური ჩართულობისთვის. მშობლებთან აქტიური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს სხვადასხვა ფორმატს: კრებებს, სატელეფონო საშუალებებს, სოციალურ ქსელებს. სკოლა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გეგმავს არაფორმალური აქტივობების ციკლს, როგორებიცაა: სპორტულ-კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები, ექსკურსიები. სასკოლო ადმინისტრაცია სკოლაში მიმდინარე პროცესის განუყოფელი ნაწილია.**2.1.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნული ასახულია 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივი ჯგუფის მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის სხვადასხვა კლასში დასანერგი ორი ან სამი კომპლექსური დავალება, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის რეფლექსიასა და თვითრეფლექსიას. სკოლა საუბრობს როგორც სხვა საგნების, ისე წინა და მომდევნო კლასებში შემსვლელ პედაგოგებთან თანამშრომლობის, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვისა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწის შესახებ, რათა კურიკულუმების ციკლურობით თითოეული წევრის ჩართულობა გაუმჯობესდეს. **ქართული ენის** კათედრას აქვს გამოცდილება მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებული და დამტკიცებულია კურიკულუმი, რომელსაც ამ დროისათვის ახორციელებს სკოლა. **სკოლის** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციით და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი **უცხოური ენების** საშუალო საფეხურის კურიკულუმები თანამშრომლობით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრებზე განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, შეფასების განხილვის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის საჭიროებები. **2.1.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები, ამ ეტაპზე, შემუშავებულია მასწავლებელთა მიერ, გაზიარებულია სხვა საგნების პედაგოგებისათვის და ეტაპობრივად მიმდინარეობს მშობელთა ინფორმირებულობა მშობელთა კრებებსა და სოციალურ ქსელებში სწავლების მიზნების გაზიარების მიზნით. იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებასთან უკვე შეთანხმებული და არჩეულია შეფასების **მეორე მოდელი. ქართული ენ**ის სკათედრაზე ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ცნებების თეორიაზე დაფუძნებული სწავლა–სწავლების მიგნებები და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების ეფექტური მუშაობა კურიკულუმის სრულყოფისათვის ხელისშემწყობ ფაქტორად ესახებათ. ამ მიმართულებით კათედრას 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ და დამტკიცებულ კათედრის სამუშაო გეგმაში განსაზღვრული აქვს „მკითხველთა კლუბის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციონირება, სხვადასხვა ღონისძიებათა და ექსკურსია–პროექტების განხორციელება. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავება მოხდა მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, კერძოდ შეირჩა რიგი საკითხები, თემები, რესურსები. შემუშავებულ კურიკულუმებს არა მხოლოდ კათედრის წევრებს, კოლეგებს და დირექციას, არამედ მშობლებსაც და მოსწავლეებსაც უზიარებენ, რაც მათ ჩართულობას ზრდის და აღნიშნეს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა. **2.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საშუალო საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საშუალო საფეხურზე სკოლას აქვს სამიზნე ცნებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშვებისა და გამოყენების პრაქტიკა. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე არსებობს რა კომპლექსური დავალებებით სწავლების მინიმალური პრაქტიკული გამოცდილება, კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებიდან, მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში **მათემატიკის** კათედრაზე შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს, არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მათი ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით და ასევე ინტერვიუსას გაცემული პასუხებით, გვიქმნინან წარმოდგენას, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება, შეიძლება ითქვას, რომ დავალების ძირითადი საკითხები, რომლებსაც მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვიჩვენებს (მაგალითად; "გეომეტრიული ფიგურების ალგებრულად გამოსახვა", „გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება", „სივრცული ობიექტების ვიზუალიზაცია", „მაჩვენებლიანი და ლოგარითმულკი ფუნქციების გამოყენება საყოფაცხოვრებო ამოცანებში", და სხვა) ცხადყოფს, რომ კათედრას აქვს მზაობა წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ჩართულობით, მათივე ინტერესების და მზაობისა შესაბამისად. **უცხოური ენების** კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და საკითხები როგორიცაა ინტერვიუ განმცხადებელ აპლიკანტსა და სკოლის დირექტორს შორის, საინფორმაციო ბუკლეტი ელისაბედის ხანაზე, პრეზენტაცია თემაზე:,,ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი გონებაა'', პოსტერის პრეზენტაცია: "ცნობილი ადამიანის აღწერა" და ა.შ.ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და წარმოაჩენს მოსწავლეს სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტად. სწავლის პროცესი ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმას და მოქმედებას შეუწყობს ხელს. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების, მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცოდნა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა** შუალედური მიზნის საინტერესოდ წარმოსაჩენად იყენებს მოსწავლეთათვის ნაცნობ თემატურ ბლოკებს. საშუალო საფეხურზე სტემ საგნების კურიკულუმში თემების/თავების/ პარაგრაფების დაჯგუფებით მიხედვით წარმოდგენილია საკითხთა კლასტერები. თითეულ თემაში განხილულია ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუზე მათ ნამდვილად აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა (ქიმია-1, ფიზიკა-1, ბიოლოგია-1 პედაგოგი) აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარებაზე. წარმოადგინეს კურიკულუმები ყველა კლასში. შეუძლიათ ცნებებს შეუსაბამონ ქვეცნებები სტანდარტიდან. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკუმების შედგენის დროს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება ხდება კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირების გზით. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლის მიერ მოწოდებული **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. წარმოდგენილი კურიკულუმები კონსტრუქტივისტული პრინციპებზეა აგებული და მოსწავლის როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებმა შეხვედრისასა ისაუბრეს კურიკულუმის შექმნის პრინციპებზე. მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეს სკოლის ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ინტერესები, რის შესაბამისადაც შეარჩიეს თემები, სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური სახეობები, საგნის გრძლევადიანი მიზნები წარმოადგინეს სამიზნე ცნებების სახით, რომელიც მუშავდება თითქმის ყველა თემაში. ხოლო შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეა, რომელიც თავის მხრივ მოძრავი თამაშებისა და სასკოლო ფესტივალის ჩატარებას გულისხმობს. **არჩევითი საგნები - პროექტული მიმართულებით მუსიკა/ხელოვნებაში,** ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია ის თემები, რომლის შერჩევაც მოხდა სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა მიერ; გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით); შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია ის აქტივობები და დავალებები - რომელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი პროექტები იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ პროექტების შერჩევა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და მიიღონ სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებელობები. თემების გაცნობამ და ერთგვარმა საპრეზენტაციო განხილვამ ცხადად წარმოაჩინა პედაგოგთა რეალური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრისთვის ცხადია, რომ სასწავლო გეგმამ, საგნობრივმა კურიკულუმმა უნდა შეძლოს მოსწავლის საბაზისო ინტერესებისა და მისწრაფებების აქტუალიზაცია. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. შუალედური და გრძელვადიანი უნარების განვითარებით, მოსწავლეთა წინარე ცოდნათა გააქტიურებით, ახალი ცოდნის დაშენებითა და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით, საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება **ქართულ ენაში** განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია მოდიფიცირებული დავალებები. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. **მათემატიკისა და უცხოური ენების** კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს. საშუალო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კურიკულუმებში სკოლას გამოკვეთილი აქვს სამიზნე ცნებების, როგორც მთავარი, გრძელვადიანი ორიენტირის როლი საკუთარ კურიკულუმებში. საშუალო საფეხურის მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. მოცემულ კურიკულუმებში მეტწილად მკაფიოდ იკვეთება მიმართება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ ქვეცნება-ქვესაკითხებს შორის. დავალებაში განიხილება კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელიც სასწავლო მასალაშია. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ მოსწავლის მიერ თემის სიღმისეულად გაზიარების წინაპირობაა კონტექსტი, თემა და ფაქტობრივი ინფორმაცია, სწორედ ამიტომ აქცენტი კეთდება კომპლექსური დავალებების შექმნაზე; კურიკულუმის გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** მოსწავლეთა შეფასებები მიემერთება ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიურების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისისთვის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, შექმნეს მე-11კლასის კურიკულუმები ახალი გრიფმინიჭებული სახელძვანელოების გამოყენებით შემდეგ საგნებში: გეოგრაფია, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობის პროექტულ სწავლება. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დღემდე კომპლექსური დავალებები არ განუხორციელებიათ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია ჩაუტარებიათ შიდა საკლასო სპორტული ღონისძიება, სადაც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან, თამაშობენ გუნდურად, თანამშრომლობენ, ერთნაირად აღიქვამენ მოგებას და წაგებას, მართავენ ემოციებს. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებების განხორციელებისას(მოძრავი თამაში, შიდასასკოლო ფესტივალი) გამოყენებული აქტივობები კიდევ მეტად აქტიურსა და განვითარებადს გახდის ამ პოცესებს. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება - ესთეტიკის კათედრის მიერ** წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებების და ქვეცნებების სახით. კურიკულუმში მოცემულია ასევე დამატებითი რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საჭირო ინსტრუმენტები, რაც მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვისაა საჭირო. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. თვითშეფასებისას იკვეთება, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანის საფეხურის თითოეული მოსწავლის საჭიროება (მზაობა, წინარე ცოდნა,ინტერესები, ინტელექტის ტიპი...), ამისათვის ფიქრობენ, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ არა მარტო მათზე მორგებული სასწავლო რესურსები, არამედ დიფერენცირებული სასწავლო მასალალები. სკოლაში ვიზიტისას **ქართული ენის** პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. საშუალო საფეხურის **მათემატიკის** მასწავლებლები იყენებენ შემდეგ მეთოდებს: შესასვლელი და გასასვლელი ბარათების, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და მსგავსი სტრატეგიები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. მათ აქვთ გარკვეული გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე აღნიშნეს, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ-მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ - განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ მასწავლებლები ახორციელებენ აქტივობების, დავალებების დიფერენცირებას მოსწვლეთა მზაობის შესაბამისად. სთავაზობენ არჩევანს საკითხებთან მიმართებაში, რაც მოსწავლეების მოტივაციას, ჩართულობას, დამოუკიდებლობას უწყობს ხელს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე. სკოლის მიერ სასწავლო პროცესი დანახულია როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართული აქტივობები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, პოტენციალი, საჭიროებები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** საგნობრივი გზამკვლევები რომელსაც სკოლა ეყრდნობა საშუალო საფეხურზე კურიკულუმის აგების პროცესში, მათი სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, კერძოდ: თითოეული სამიზნე ცნება და შედეგი განსაზვრულია საშუალო საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე დანერგილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომა, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული მეთოდი, შედგენილი აქვთ კურიკულუმი მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, სკოლის ინფრასტრუქტურა, სპორტული რესურსი, იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლის მიერ გაწერილ აქტივობებში გათვლილია მოსწავლეთა ინტერესები და მასწავლებელების მხრიდან მოსწავლისთვის შეთავაზებულია მათ შესაძლებლობებზე გათვლილი სპორტული აქტივობები, სპორტის სახეობების ელემენტების მარტივად შესრულება, მსაჯობა, ღონისძიების ერთობლივად მოწყობა. განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებები მთლიანად გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი და იგივე დავალების სხვადასხვა აქტივობებით შესრულება. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს ახლო მომავალში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებაზე, შიდა სასკოლო ფესტივალი მძლეოსნობის სახეობების შესრულებით. რომლის ფარგლებში მოსწავლეები ასრულებენ, როგორც მძლეოსნობის სახეობების ტექნიკებს, ასევე პრეზენტაციას, კედლის გაზეთს, პოსტერს მძლეოსნობის თემატიკით. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** კურიკულუმში გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები; კურიკულუმი დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ცალკეული მოსწავლეებისთვის ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს) **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საშუალო საფეხურზე **ქართულ ენაში** განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლას დამტკიცებული აქვს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად **მეორე მოდელის გამოყენება,** რაც 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში აქვს გაწერილი.

განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით კათედრა ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განვითარებას. მაგალითისათვის მოსწავლის შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების“რუბრიკა და „სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკა“, რომლებიც წარმოადგენენ სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე დაგეგმილი აქვს სადიაგნოსტიკო წერის განხორციელება **ქართულსა და მათემატიკაში. მათემატიკის** კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მუშაობენ თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე. შეფასების რუბრიკები რამდენიმე თემისათვის შექმნილია და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებში. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს კათედრის მართებული ცოდნა და გამოცდილება ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრსით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** წარმოდგენილი რუბრიკების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ რომ პედაგოგებს მეტწილად გააზრებული აქვთ თუ რა რესურსით უნდა იხელმძღვანელონ შეფასების რუბრიკის შედგენისას; როგორ მოარგოს შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა** გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებას. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსაზღვრავს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნების მიხედვით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი განმავიშეფასების რუბრიკები იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს რა უნდა შეძლოს მოსწავლემ თითოეული სამიზნე ცნების ფარგლებში. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შექმნიან მსგავსი ტიპის განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკების, სადაც ჩათვლის სახითი განისაზღვრება მოსწავლეთა შედეგები თითოეული თემიდან გამომდინარე. **პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასება გარდა იმისა, რომ მიემართება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **2.1.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება, გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას კომპლექსური დავალების პირობისა და დაფარვის ეტაპებზე განსაზღვრული აქტივობების გამოცდილება. თვითშეფასებისას სკოლა საუბრობს იმ მნიშვნელოვან მიდგომებზე, რომ აუცილებელია მუდმივად იქნეს გათვალისწინებული როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის წინარე გამოცდილება. გაითვალისწინონ მოსწავლის მზაობა, განახორციელონ დაკვირვება, შედეგების ანალიზი, პროფესიული საჭიროების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკა უზრუნველყონ. -საბაზო საფეხურის **მათემატიკის** პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წელსაც. **უცხოური კათედრის** მიერ წარმოდგენილ მასალაში/დოკუმენტაციაში ჩანს სკოლის გამოცდილება, კერძოდ სკოლის **ქართული ენისა და ლიტერატურის,უცხო ენათა** კათედრის ოქმში ვკითხულობთ ,რომ მოხდა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების და პირველი სემესტრის შედეგების ანალიზი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საასწავლო კურიკულუმების შემუშავებისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ინტერვიურების პროცესში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგთა მხრიდან დაფიქსირდა მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების მაგალითები და მათი დანერგვის სურვილი მომავალი წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმში. მათ აღნიშნეს, რომ მუდმივად ახორციელებენ თითოეულ აქტივობაზე დაკვირვებას და ამგვარად შეკრებილი მონაცემების საფუძველზე ღებულობენ შემდგომ გადაწყვეტილებებს. როგორც საბაზო საფეხურის სტემ საგნების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა მათ აქვთ სასწავლო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება და აპირებენ განაგრძონ მუშაობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომლის ანალიზის შედეგებიდანაც შეძლებენ დაგეგმვონ ახალი სასწავლო კურიკულუმები. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** -მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა, ინტერესი სპორტის გუნდური თუ ინდივიდუალური სახეობების მიმართ, სპორტულ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა, გამოვლენილი ძლიერ და სუსტი მხარეები, ერთმანეთის გამოცდილება. მასწავლებლები აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად ყოველწლიურად მოხდება კურიკულუმის გადამუშავება. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** შეხვედრიდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შექმნისას გაითვალისწინეს სწავლა - სწავლების პროცესში არსებული საუკეთესო გამოცდილება. კათედრაზე მოხდა წინა სასწავლო წელს შექმნილი კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული დავალებების მოდიფიცირება და გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილებები. ასევე ხდება შესრულებული დავალებების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენა. **2.1.2.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმი
- დანართი-საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები(დამატებითი დოკუმენტები)
- კომპლექსური დავალებეები.
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- უცხოური ენების ოქმი -რესურსი 12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, რაც მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და ამასვე ისახავს მიზნად. ასევე **ქართული ენის** კათედრის მიერ წარმოდგენილია დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები, (საშუალო საფეხურზე _ ვაჩუქოთ ერთმანეთს ფერადი სამყარო“, „მე მიყვარს ლიტერატურა“, „ საერთაშორისო დღეების აღნიშვნა“, კლუბური მუშაობა და სხვა) ასევე კათედრის მიერ დაგეგმილი კლუბის ფუნქციონირება „მკითხველთა კლუბი“, „დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი და ექსკურსია–პროექტები, რაც კათედრის სამუშაო გეგმით აქვთ განსაზღვრული. ინტერვიუსას **მათემატიკის** პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ გამთლიანება დანაწევრებით მიღებული ცოდნისა; მაგალითად: საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა შექმენი სიტუაციის შესაბამისი მათემატიკური მოდელი, გამოიყენე გეომეტრიული გარდაქმნები, დახატე გეომეტრიული ფიგურა და სხვა, ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა როგორიცაა მაგალითად, პოსტერი, საგაზეთო სტატია, წერილი. მაგალითად, მე-11 კლასის **უცხოური** ენების კურიკულუმში ჩაშენებულია პროექტი: ”გამოჩენილი ადამიანები”, რომელიც რამოდენიმე პროდუქტის შექმნას უზრუნველყოფს(თხზულება,პოსტერის პრეზენტაცია), რაც მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას და მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებიტ** სკოლა საშუალო საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და მისი ინდიკატორების მისაღწევად ცდილობს დაგეგმოს კომპლექსურ დავალებები, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი ნაბიჯების მიხედვით მიიღებენ ინფორმაციას, გაანალიზებენ შესწავლილ მასალას, შექმნიან ახალ პროდუქტს, გადაჭრიან პრობლემებს ყოფა - ცხოვრებიდან, გააკეთებენ კლასიფიკაციას, რაც მათ შემოქმედებითობას განუვითარებს და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას განაპირობებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომლექსური დავალებების იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. სასურველია რომ საერთო საფეხურის შედეგის მისაღწევად განხორციელდეს შესაბამისი კომპლექსური დავალებები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით** მტკიცებულებების ანალიზების საფუძველზე დგინდება რომ, მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული, რასაც მოწმობს სკოლის მიერ ატვრთული დოკუმენტები, მოქალაქეობის საგნში ჩართულები არიან სხვადასხვა არაფორმამური განათლების მხრივ. დაგეგმილი კომპლექსური დავალებიდან ჩანს, რომ ყველა აქტივობაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური, აქტიური და შემოქმედებითი გამჭოლი უნარების განვითარება. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სპორტის ის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობები, რომელთა სწავლის გამოცდილება წინა წლებშიც ჰქონდათ. ხოლო კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები განხორციელების პერიოდში, ასევე მოძრავი თამაშებისა და საკლასო/სასკოლო ფესტივალის ჩატარებისას მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ისეთი სპორტული რესურსი, ინტერენეტ ბმულები, რომელიც მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას იწვევს და მათ სასწავლო პროცესში შემოქმედებითობას განაპირობებს. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რესურსები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. კურიკულუმები შექმნილია გრიფირებული სახელმძღვანელობის მიხედვით (ძირითად რესურსს წარმოადგენს), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება გათვალისწინებულია და დაკავშირებულია იმ გამოწვევებთან, რასაც მას პროექტებით სწავლების დროს დავალების პირობა უყენებს. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საშუალო საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. მათი ხედვით, .საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს. სამომავლოდ კათედრა გეგმავს გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **მათემატიკის** პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. (II პრინციპი - ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით). ამისათვის იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა დიდ შანსს იმისას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს თავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად, „სადეზინფექციო ხსნარის დამზადება“, „მთის სიმაღლის გაზომვა, მაღალი შენობის სიმაღლის დადგენა“, „უცნაური კამათელი“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. **უცხოური ენის კათედრასთან** გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების/საკითხების ,როგორიცაა „ რჩევა მეგობარს“, „რა არის სტატია და როგორ უნდა დავწეროთ“, “ მომავლის ტრანსპორტი”,”გამორჩეული ადამიანები” და ა.შ. გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა, ინტერესები და ცოდნის კონსტრუირება ხდება ნაცნობ თემატიკაზე დაყრდნობით. სკოლას და კათედრას ასევე აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილება. წარმოდგენილ ერთწლიან გეგმაში და კათედრის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პროექტები, ღონისძიებები და მკითხველთა კლუბის ორგანიზება. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის დადგენა. ამისათვის მასწავლებელი როგორც ინტერვიუში აღნიშნეს იყენებენ ტესტებს, ასევე აქტუალურია კოგნიტური სქემების გამოყენება სასწავლო პროცესში. სტემ საგნის პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს რომ მოსწავლეები დიდი ხალისით ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის უნარებს ანალოგიებზე დაყრდნობით და ნაცნობი კონტექსების უზრუნველყოფით. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებიდანნ ჩანს, რომ **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების** მასწავლებლები იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სწავლა-სწავლების მიზნებს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებით, ახალი ცოდნის კონსტრუიერებას, სადაც შეუძლია მოსწავლეს შეუძლია ცხოვრებ ისეულ კონტექსტში და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კურიკულუმებში ჩაშლილია კონტექსტ მაგალითები. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში თემები და მის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები ისეა გაწერილი, რომ სწავლა სწავლების პროცესი წარიმართება მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ და მთლიანად სასწავლო პროცესი კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებით წარიმართება. მოსწავლისთვის შეთავაზებულია ნასწავლი აქტივობები, როგორიცაა მოძრავი თამაშები შესწავლილი უკვე განვლილი თემებიდან, რაც მოსწავლის შინაგან ძალებს ააქტიურებს, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას განაპირობებს და ახალი ცოდნის შეძენის სურვილს აღძრავს. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პედაგოგთა უმეტესობა ცდილობს მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. ამისათვის, ისინი იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც პროექტებზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. **2.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. შესაბამისი მიგნებები იკითხება კათედრის მიერ წარმოდგენილ თემატურ მატრიცასა და შეფასების რუბრიკებში. სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა. **მათემატიკის** კათედრაზე აღნიშნეს, რომ მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელ შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გადადგა დავალების შესრულებისას. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ; როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. **უცხოური ენების** კურიკულუმებში შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება კომპლექსური ბუნების სხვადასხვა სახის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. უცხოური ენების კათედრასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ სწავლის სტრატეგიებზე ორიენტირებულ დავალებებს და ისეთ შეფასების ინსტრუმენტებს როგორიცაა თვითშფასების და თანაშeფასების სქემები, კითხვარები, რაც სწავლის სწავლას და ავტონომიურობას უწყობს ხელს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ჩანს, რომ** სწავლების პროცესი მიმართულია, რომ მოსწავლეები დაეუფლონ და განივითარონ სხვადასხვა უნარები-ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის სტრატეგიების და სხვა.. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა გამოკვეთეს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის და საკუთარი მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ. კომპლექსური დავალების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, გამოკვეთილი მისაღწევი მიზანი ანუ პროდუქტი და ეტაპებად დროში გაწერილი აქტივობები მოსწავლეს უბიძგებს დასახოს მისი შესრულების სტრატეგიები და თავად შეაფასოს იგი, ან მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლის ან თანატოლისგან. კეთებით სწავლის მოდელის გამოყენებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი: შექმნას მოდელები; მაგ- ელექტროძრავის მოდელი; ააწყოს წრედი, შექმნას კონდენსატორის მოდელი, დაამზადოს ლეიდენის ქილა; ჩაატაროს მარტივი კვლევა და შექმნას კვლევითი ნაშრომი, შექმნას ანიმაცია, რომელსაც წარმოადგენს პრეზენტაციით ppt; დაამზადოს საინფორმაციო ბუკლეტი, პოსტერები, ვინაიდან სკოლას აქვს მოქმედი ფიზიკის ლაბორატორია , რომელიც საჭიროებს განახლებას; მასწავლებლები ინტერვიურებისას საუბრობენ ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების შესაძლებლობას; აქცენტს აკეთებენ საჩვენებელ ექსპერიმენტებზე, რომლის განხორციელება შესაძლებელია ონლაინ რესურსის გამოყენებით და მარტივი საშინაო ცდების დასაგეგმვით, ამ კუთხით დამხმარე რესურსად ასევე იყენებენ ტელესკოლის გაკვეთილებს; სკოლის სტემ მასწავლებლები იზიარებენ ხედვას სასკოლო ლაბაროტარიის გამთლიანების (ფიზიკის ლაბორატორიის ბაზაზე - ქიმიის და ბიოლოგიის საგნების გათვალისწინებით სტემ ლაბორატორიის მოწყობის აუცილებლობაზე;) ფიზიკის სივრცეში მიუხედავად იმისა რომ ძველი ხელსაწყოებია, მასწავლებლის დახმარებით ყველა ხელსაწყო მუშა მდგომარეობაშია და იყენებს საგაკვეთილო პროცესში აქტიურად სკოლის ადმინისტრაციის და კათედრის ეფექტური კომინიკაციით და შესაბამისი სამსახურების მხარდაჭერით შესაძლებელია ამ საკითხის მოგვარება და სკოლის ლაბორატორიის მოწყობა; ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების პრაქტიკას ასაბუთებენ ინტერვიურებისას; სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად; თუმცა ამის პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს; საშუალოსაფეხურზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ფორმირებას. კომპლექსური დავალებები გეოგრაფია, ისტორიასა და მოქალაქეობაში შერჩეულია ისე, რომ ეყრდნობა სწავლის სწავლების პრინციპებს. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** - მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს მათ მიერ გამოყენებულ წამახალისებელ თუ განმავითარებელ კომენტარებზე, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გააცნობიეროს მისი ძლიერი და სუსტი მხარე, დაფიქრდეს სწავლის სწავლაზე, შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, განსაზღვროს წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას დაფიქრდეს და მიხვდეს რომელმა ხერხმა თუ მეთოდმა მოუტანა დადებითი შედეგი, განსაზღვროს რომელი ფიზიკური თვისების განვითარება ესაჭიროება, რომელი ვარჯიშები თუ ფიზიკური აქტივობები დაეხმარა ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებაში. თვითრეფლექსიისა და მასწავლებლის უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი პროექტები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუების დროს აღნიშნეს და თვითშეფასების ფორმაშიც წერია, რომ პროექტული სწავლების დანერგვამ ხელი შეუწყო სწავლის სწავლას, დავალების წარდგენის ეტაპზე მოსწავლე აკეთებს რეფლექსიას, აჯამებს დავალებაზე მუშაობის პროცესს, გამოაქვს გონივრული დასკვნები და სახავს მომავალი განვითარების გზებს. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (<u>დეკლარატიული ცოდნა),</u> სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის <u>პროცედურულ ცოდნად</u> და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში <u>პირობისეულ ცოდნად</u> აყალიბებს. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას სკოლა ასევე წარმოგვიდგენს პროექტული სწავლებისას, რაც ვიზიტისას სრულიად გააზრებულად დაადასტურა კათედრამ. **ქართული ენის** პედაგოგები შეხვედრაზე აქცენტს ასევე აკეთებდნენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე. საშუალო საფეხურის **მათემატიკის** სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმები შეიქმნა მსგავსი კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომლითაც მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. **უცხოური ენების** კათედრას აქვს გარკვეული გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, მათ მიერ წარ ნგანხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები. კათედრის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სასწავლო პროექტების და ღონისძიებების განხორციელება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული), რომლის მაგალითებიც მოიყვანეს და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, რომ მომავალში გაიზარდოს მოსწავლის შემოქმედებითი უნარები. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა რომ ახალი სასწავლო წლისთვის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** იგეგმება პროექტები, აქტივობები და კომპლექსური დავალებები რომლებიც საშუალებას მისცემთ სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე. საუბრისას მასწავლებლებმა აჩვენეს სწორი ხედვა ამ მიმართულებით და გამოცდილება იმისა, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული. კურიკულუმებში სკოლამ წარმოადგინა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული და ტელესკოლის გაკვეთილები, როგორც მთავარი რესურსი და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის რესურსი: ტაბულები, ატლასი, პოსტერი, მარტივი საშინაო ცდისთვის საჭირო რესურსები, მარტივი ექსპერიმენტები, რომლებიც დაგეგმილი აქვთ სასწავლო პროცესში. საჭიროა სკოლის ადმინისტრაციასთან კოორდინირებული თანამშრომლობით სკოლამ უზრუნველყოს ცდისთვის საჭირო საჭირო რესურსების მობილიზება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება; **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში გაწერილი თემიდან გამომდინარე საგნობრივი საკითხები მოსწავლისგან არა მარტო ფიზიკური აქტივობების ტექნიკურად შესრულებას გულისხმობს, არამედ თეორიულად, გააზრებულ სწავლებას. მნიშვნელოვანია მოსწავლემ იცოდეს სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების ფარგლებში გაწერილი საკითხების არა მარტო ტექნიკური ელემენტების შესრულების წესი, რაც მრავალჯერადი შესრულების შედეგად იხვეწება, არამედ ამ სპორტის სახეობის ისტორია. კომპლექსური დავალების განხორციელების ფარგლებში, სადაც მოსწავლეებს უწევთ უკვე შესწავლილი საკითხების წარმოჩენა იქნება ეს თეორიული თუ პრაქტიკული ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამივე კატეგორიაზე . **არჩევითი საგნები - პროექტიმუსიკა/ხელოვნება-** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროექტების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს.ჩამოყალიბებას.. **2.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საშუალო საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. კათედრა გეგმავს სამომავლოდ სწავლის პროცესი მიმართოს ისე, რომ უფრო ეფექტურად მოხდეს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ტრანსფერი. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის **მათემატიკის** მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მარტივია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე (ინტერვიუირებისასაც დაადასტურეს ეს პედაგოგებმა) და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთ დაკავშირებას, ვისურვებდი უფორ მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ მაჩვენა, რომ მათემატიკის კათედრას აქვს გამოცდილება საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირებისა(მათემატიკა და ფიზიკა საგნებს შორის) . საშუალო საფეხურზე, **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების პროდუქტის იდეები მაგალითად, როგორიცაა პოსტერის, სტატიის, წერილის, პრეზენტაციის შექმნა. აღნიშნული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაზე ,სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაზე. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს კათედრის მზაობას უზრუნველყოს ისეთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესი, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ასევე წარმოაჩინა კათედრის გამოცდილება პროექტების დაგეგმვის და განხორციელების კუთხით საშუალო საფეხურზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის** მასწავლებლებმა ინტერვიურებისას ხაზი გაუსვეს თემატური დაგეგმვისას კომპლექსური დავალებების უპირატესობას, რომლებიც გათვალსიწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კომპლექსური ტიპის დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ცოდნის ორგანიზებაზე, რომლის დროსაც მოსწავლეებს ინფორმაცია და მასალა მიეწოდება ეტაპობრივი შინაარსობრივი თანმიმდევრობით. ხოლო ყოველი მომდევნო ნაწილი ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ურთიერთდაკავშირების საშუალებას. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნა რომ საშუალო საფეხურზე აქტიურად იყენებენ გაკვეთილების ინტეგრირებულად ჩატარების პრაქტიკას. მომავალი სასწავლო წლისთვის კომპლექსური დავალებები და პროექტები იძლევა იმის საფუძველს რომ 2023 – 2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესის წარმათვისას საბაზო საფეხურის პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთადაკვშირებას. საშუალო საფეხურზე **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლები ცდილობენ დაგეგმონ საკითხები, ისე რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და დაინახონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, გამოიყენონ სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობა, როგორიცაა სასკოლო და სოციალური პროექტები და კომპლექსური დავალებები, სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსები. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სადაც შუალედურ მიზანად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებებით სწავლება და რომელშიც ორიენტირება კეთდება ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერთდაკავშირებაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას, სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაში თუ პროექტის მომზადება მოსწავლისგან უკვე ნასწავლი საკითხების წარმოჩენას, მის მობილიზებას და ცოდნათა ორგანიზებას მოითხოვს. ხოლო პროექტული სწავლების დროს სწორი ჯანსაღი კვების, მავნე ჩვევების ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ საგანთა შორის კავშირების დამყარებას და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენებას. **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ისეთი რესურსებია მითითებული, რაც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ორგანიზებაში და ურთიერთდაკავშირებაში. ვინაიდან 2023-2024 სასწავლო წლის სწავლა-სწავლების პროცესი ააგებული აქვთ პროექტების განხორციელებით, ცოდნთა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგან ასეთი ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. სხვა საგნებთან დაგეგმილი ინტეგრირებული აქტივობები. **2.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი **ქართულ ენაში** ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესში მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, იგი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპლექსური დავალებების რეფლექსიებში, ასევე კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შექმნილ პროდუქტებში, რომელშიც კარგად ჩანს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნება, კრეატიულობა. თუმცა აქვე შენიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **მათემატიკის** მასწავლებლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ყველა კლასის კურიკულუმში მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და თემასთან დაკავშირებული საგნობრივი საკითხები, გააზრებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში. ზოგიერთ კლასის კურიკულუმს თან ახლავს მატრიცა, სადაც ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები და პროცესი. აღნიშნული კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ უკვე მიმდინარეობს კურიკულუმის დახვეწა - განვითარება, ზუსტდება კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები და იქმნება დავალების პირობა/აქტივობები. დაემატება რესურსები და გასწორდება ყველა უზუსტობა. **უცხოური ენის** კათედრაზე წარმოდგენილ კურიკულუმში უმეტეს შემთხვევაში კომპლექსურ დავალებას ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სადაც წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენები და მოლოდინები. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების კათედრას მკაფიოდ აქვს გააზრებული ზემოაღნიშნული კავშირი და აქვს მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეს მისცეს განმავითარებელი შეფასება ცნებასთან და მის მკვიდრ წარმოდგენასთან მიმართებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** წარმოდგენილი კურუკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და თითეულ თემაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გათვალისწინებით, რომელშიც გამოვლინდა რიგი ერთგვარი ტიპის მცირე უზუსტობები, გავლენას ვერ ახდენს მთლიან პოზიტიურ სურათზე და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი სტანდარტები აჩვენებს რომ: სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი და მისკენ მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, მათი საშუალებით კი მუშავდება სამიზნე ცნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კატედრისმიერ მიერ წარმოდგენილია გეოგრაფიის, ისტორიის, მოქალაქეობის საგნის კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურის ყველა კლასისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. სკოლამ სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასაწყისისთვის წარმოადგინა **გეოგრაფიის** საგნის მე-10 და მე-11კლასის კურიკულუმების ჩარჩო , სადაც გაწერილია სრულად სასწავლო თემები,სამიზნე ცნებები,ქვეცნებები, საკითხები და ქვესაკითხები, კომპლექსურ დავალებებში შასაბამისია კონტექსტ მაგალითებით. ისტორიის და საქართველოს ისტორიის საგანში სრულად არის მე-10 და მე-11 კლასების კურიკულუმები,სადაც გამოყენებული აქვთ რესურსად გრიფირებული სახელმძღვანელოები. მოქალაქეობის საგნის პედაგოგს სრულად აქვს მე-10 და მე-11კლასის კურიკულუმები, პროექტულ სწავლებას იყენებს და ასევე არაფორმალური მიმართულებითაც ნერგავს სხვადასხვა აქტივობებს. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტ**ის კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. შერჩეული თემებში გაწერილია თითოეული თემის ქვეცნებები, საგნობრივ საკითხებში სასურველია იკვეთებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, რაც გამოიხატება სპორტის გუნდური და ინდივიდუალური სახეობების ტექნიკის სრულყოფით. შუალედურ მიზნად გაწერილია კომპლექსური დავალებები შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით, რომელიც სკოლის ინფრასტრუქტურას და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითაა შერჩეული. ყველაფერი ეს კი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, პროექტების თებების ფარგლებში იფარება ყველა სამიზნე ცნება, ხოლო საფეხურის ფარგლებში ყველა ქვეცნება, რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასთან, ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. **2.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი სასარგებლო აქტივობებს, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა და კერძოდ **ქართული ენის** კათედრის პედაგოგები საუბრობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საშუალო საფეხურის მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობაზე, სადამრიგებლო საათებზე, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიებაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება გააქტიურდეს. **მათემატიკის კათედრაზე** ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა, სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. ეს მიდგომები გათვალისწინებული სასწავლო პროცესის განხორციელების დროსაც. **უცხოური ენების** წარმოდგენილი კურიკულუმიდან და კათედრის ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს და დიდ დროს უთმობს პროექტებით სწავლებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების საკითხები, იდეები და საკითხები ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას როგორიცაა პოსტერი, სტატია, წერილი, თხზულება. ამ პროდუქტებზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდის და განვითარების პროცესს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია მკითხველთა კლუბის და პროექტების და ღონისძიებების განხორციელება. **საბუნებისმეტყველო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მეცნიერებები - შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ხორციელდება კონტექსტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით თუ რას ვაფასებთ. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმში ჩანს ჩაშლილი თემები, სხვადასხვა პროექტები,სასწავლო პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები, სასკოლო პროექტები მომწობს, იმას რომ კათედრა აქტიურად მუშაობის მოსწავლის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კურიკულუმებში შერჩეული თემები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა სპორტული აქტივობები, ჩატარებული საკლასო/სასკოლო ღონისძიებები მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, პიროვნული და ფსიქო სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს. სპორტის გუნდური სახეობების შესწავლისას ვლინდება, როცა მოსწავლეებს უწევთ გუნდურად თამაში, მართავენ ემოციებს, ეხმარებიან და ზრუნავენ ერთმანეთზე, ეჩვევიან მოგება/წაგებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას **არჩევითი საგნები - პროექტი - მუსიკა/ხელოვნება-** საგნობრივი კონტექსტი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესზე. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. **ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას (კითხვების დასმას, იდეების გენერირებას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, პრობლემის დანახვას სხვადასხვა მხრიდან და სხვა.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებული შეფასების ფორმებისა და ინსტრუმენტების ჰოლისტურ ხასიათს, სკოლის აზრით, უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირი. აღნიშნული კომენტარით შეფასება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მასწავლებლის მხარდაჭერით მოახდინოს პროგრესი/განვითარება. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ განმავითარებელი შეფასება იყოს უფრო მხარდამჭერი, წამახალისებელი, განვითარებაზე ორიენტირებული. **მ**ოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და **მათემატიკის პ**ედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან, თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების მართებული იდეები და შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და დავალებების პროდუქტებზე დაყრდნობით როგორიცაა მაგალითად, „რჩევა მეგობარს“, „ გამოჩენილი ადამიანები ‘’, „მომავლის ტრანსპორტი“ და ა.შ. დგინდება, რომ ცოდნის კონსტრუირება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე. უცხოური ენის მასწავლებლებს აგრეთვე აქვთ გამოცდილება ზეპირი და წერილობითი განმავითარებელი შეფასების თვალსაზრისით.კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება, მართებული ცოდნა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებების კუთხით, ვთვლი, რომ უცხოური ენების კათედრას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეუძლია გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების აუცილებელი კომპონენტები: დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური) და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულ დონეებს. შეფასება ინფორმაციის შეგროვების ერთ ერთი ფორმაა და გვაწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მასზე დაყრდნობით კი **საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრები** გეგმავენ მომდევნო სასწავლო პროცესს. შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება კი ეხმარებათ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობაში. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის** კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს თემებიდან გამომდინარე და იძლევა მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას. შემუშავებული შეფასების რუბრიკის ანალიზის საუძველზე მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები სამიზნე ცნების ფარგლებში. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე გამოყენებულ განმავითარებელ შეფასებაზე და აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების მსგავსად შეიმუშავებენ განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. **არჩევითი საგნები - პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. **ესთეტიკური აღზრდის** კათედრაში შემავალი საგნების კურიკულუმის ჩარჩოსა და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება,რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას**2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა 2023–2024 წლის დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ქართული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ენის კათედრაზე ფიქრობენ, რომ შეფასების კრიტერიუმები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების და სასკოლო თემის დაინტერესებული პირების მიმართ, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მშობლები, რადგან შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. კათედრაზე გასაუბრებისას იკვეთება, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმილია მეტი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკებისა და შემაჯემებელი დავალების შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და მისი გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის უზრუნველყოფა, რისი ნიმუშებიც მტკიცებულებად იქნა წარმოდგენილი. **მათემატიკის** პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. მასწავლებელმა სწორად დაახასიათა და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს, მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. **უცხოური ენების კათედრაზე** წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს,მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან ერთი კომპონენტის მიხედვით: 1.შემაჯამებელი დავალება; სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: 1.შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). საშუალო საფეხურზე შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.უცხოური ენების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით დგინდება,რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების II მოდელს და გამოიყენებს შეფასების რუბრიკებს თემის ფარგლებში შეჯამებისთვის. ასევე შეირჩა სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად მეორე ინსტრუმენტი ,რომელსაც წელიწადში ერთხელ ,მაისში განახორციელებენ(რესურსი 12). კათედრას აქვს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა.პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიისთვის გეგმავენ დაკვირვებას 2-3 მოსწავლეზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში რაც გაზიარებული იქნება კათედრაზე და დაიგეგმება ინტერვენციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად(რესურსი12). კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებებისთვის რაც შესაბამისობაშია გაწერილ მიზნებთან. გასაუბრებისას დადგინდა ,რომ მასწავლებელბი წინასწარ აცნობენ/უზიარებენ მოსწავლეებს შეფასების კომპონენტებს. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შეფასების დროს გათვალისწინებულია აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მქონე ფაქტორები სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. საშუალო საფეხურზე შეფასების წარმოებისას ითვალისწინებენ არაერთ ფაქტორს, თუმცა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე** სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების რუბრიკების შემუშავება, რომელიც გულისხმობს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. ხოლო თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები კომპლექსური დავალებებით განხორციელდება. **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე** შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეების შეფასება განხორციელდეს თემის ფარგლებში სამიზნე ცნების მიხედვით. მასწავლებელმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ კონკრეტული თემის დაწყებისას მოსწავლეებს აცნობს შეფასების რუბრიკას. მოსწავლეებმა იციან, რომ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, თამაშის წესების ცოდნა თუ უსაფრთხოების დაცვა ფასდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, იქნება ვალიდური გამჭვირვალე და სანდო. **არჩევითი საგნები - პროექტი - მუსიკა/ხელოვნება-** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემული შეფასების რუბრიკების გაცნობისას შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა არის ვალიდული, რადგან წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა საგნობრივ სტანდარტებს და სტანდარტის მიზნებთან არის შესაბამისი, სანდოობა დასტურდება იმით, რომ, წარმოდგენილია მკაფიო ინსტრუქციები, შეკითხვები, ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები,სამართლობა კი დასტურდება იმით, რომ შეფასება არ არის დამოკიდებული შემფასებლის პიროვნულ დამოკიდებულებებზე, არამედ დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე და მოცემულ სქემაზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეაფასდეს. შეფასება გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და ერთობლივადაც შეიმუშავებენ თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მათი ნაშრომი. იგივე მოსაზრება დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს. **2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, პრინციპები, პროცესი და პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული ნარატივი წარმოაჩენს სკოლის მზაობას, რომ უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესის სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობას და სამართლიანობას, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები იყოს - ზუსტი. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე დგინდება, რომ მოხდება სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება(ურთიერთდასწრება, რუბრიკების შემუშავება,დიაგნოსტიკური წერები,შემაჯამებელი დავალების ანალიზი) და განვითარება მოსწავლეთა შედეგების, მიღწევების ობიექტურად და სამართლიანად ანალიზისთვის და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა 2023–2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს და განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. კერძოდ, სკოლა **ყველა საგანში** უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების (მოსწავლეთა პირადი საქმეების, ბრძანებების; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმების, კათედრის სხდომის ოქმების) შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმებით. სკოლას აქვს მოსწავლისა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები. აღნიშნული საქმისწარმოების წესის შესაბამისად ინახება საქმეთა მართველთან. მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა აწარმოებს ელ. ჟურნალებს, სადაც შესაბამისი წესის მიხედვით ხდება შეფასების შეტანა **2.2.2.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის მიხედვით, სკოლას სურს მოამზადოს მოსწავლეები საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის, გამოიწვიოს მოზარდთა ინტერესი, იყოს ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, ჰქონდეს სწრაფვა იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი და საკუთარი ღირებულებების შემოქმედი, ჩამოუყალიბოს მოზარდებს ისეთი კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების ჩამოალიბებას, სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ეთიკური ნორმები, ემპათია, კვლევა. სკოლა სასკოლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში განსაკუთრებით გამოყოფს და პირდაპირ ამბობს, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში. **2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდამჭერ, უსაფრთხო და საჭიროებებზე მორგებულ გარემოს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო გეგმიდან, ასევე სადამრიგებლო პროგრამებიდან ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებზე ორიენტირებულ გარემოს. **2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

მათემატიკის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები (რომლიდანაც ჩანს კათედრებს შორის თანამშრომლობა, მაგალითად: საუბარია CK12-ის პლათფორმის გამოცდილების გაზიარებასა და გაკვეთილზე გამოყენებაზე), სასკოლო და სასწავლო პროექტები(მაგალითად: „გახდი კარგი ციფრული მოქალაქე", „ვინ იქნება გამარჯვებული"), მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაში ასახულია კათედრების მუშაობის პრინციპები და ფუნქციები. **უცხოური ენების** კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმებზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა და კერძოდ **ქართულისა და უცხო ენათა კათედრა** თანამშრომლობენ და სხვა საგნებთან კოორდინირებულად მუშაობენ. კერძოდ, კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, რესურსებს, ერთად მსჯელობენ და ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე** სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. კათედრა ჩართულია სხვდასხვა არაფორმალური განათლების აქტივობებში.USAID პროგრამაში და ა.შ.**2.2.3.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში(ერთწლიანი სასწავლო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი) წარმოდგენილი მიზნები, აქტივობები, კულტურა, სასკოლო კათედრების ფუნქციები, დამრიგებლების ფუნქციები და ა.შ. ზოგადად წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობას და განაპირობებს სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს. **უცხოური ენების** კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ წარმოაჩინა მასწავლებლების პოზიტიური დამოკიდებულება, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა. სკოლაში ჩამოყალიბებული და განვითარებულია თანამშრომლობითი კულტურა. (ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან, სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კურიკულუმებით, განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროექტებით) წარმოდგენილია კოლეგების უკუკავშირისა და აგრეთვე თვითრეფლექსიის ფაქტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და ცალკე არსებული ფუნქციათა გადანაწილების დოკუმენტი აქტიურ თანამშრომლობას ავალებს პედაგოგს, რათა ცოდნა/გამოცდილებათა ურთიერგაზიარება არ იყოს ცალკეული პრაქტიკა, არამედ წვლილი შეჰქონდეს, სკოლის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. **მათემატიკისა და საზოგადოებრივი მეცნიერებებიის** პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური საკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- უცხოური ენების ოქმი-რესურსი12
- პროექტები
- უცხოური ენები კათედრის სხდომის ოქმი
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა და **უცხოური ენების** კათედრის წარმომადგენლები განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, აჯამებენ, ანალიზს უკეთებენ სასწავლო პროცესს. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში წინა სასწავლო წლის პრაქტიკა, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი გამოიყენეს. ერთწლიან სასწავლო გეგმაში გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგი მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა გამოკითხვის და მიღებული შედეგების ანალიზის გზით. ამის გათვალისწინებით თანმდევი ღონისძიებების განხორციელება იგეგმება. უცხოური ენების მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ კვლევა, რომელიც კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების შედეგების ანალიზს და ხარისხის განვითარებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროცესი განხორციელდება 2-3 მოსწავლეზე დაკვირვებით კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში. მიღებული შედეგების განხილვა, გაზიარება მოხდება კოლეგა-პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაცასთან, რათა დაიგეგმოს ინტერვენციები გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებელთა გასაუბრებუდან, ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან, საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმებიდან, მასწავლებელთა რეფლექსიიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს გათავისებული 2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგია. **2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

თვითშეფასების განაცხადში სკოლა აღნიშნავს, რომ შეფასებას და მონიტორინგს გამოიყენებენ არა პედაგოგთა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად, ამისთვის გეგმავენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად შექმნან როგორც მონიტორინგის, ისე შეფასებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური ჩარჩო/ გეგმა, რომლის გამოყენებით კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას. სტრატეგიულლი განვითარების ექვსწლიან გეგმაში გაწერილია თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება სასკოლის საზოგადოების ჩართვით, რისითვისაც პერიოდულად შეიმუშავებენ კითხვარებს, ჩაატარებენ კვლევებს. ენების კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრება, რაც ასევე ორიენტირებულია პროფესიულ ზრდაზე და სწავლის ხარისხის, კურიკულუმების გაუმჯობესება, განვითარებაზე. **2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლა ასევე გეგმავს მუდმივი სისტემური მონიტორინგის დანერგვას „სვოტ“ანალიზის მეშვეობით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია შიდა სასკოლო მონიტორინგის სისტემა და პრინციპები. სკოლა აპირებს ისეთი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას როგორიცაა დაკვირვება, კვლევა, კითხვარები, გაკვეთილებზე დასწრება, სემესტრული და წლიური ანგარიშები. უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ აქვთ პრაქტიკა და გამოცდილება თვითშეფასების, რეფლექსიის, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობლებთან გასაუბრების რაც პროფესიულ ზრდაში, კურიკულუმების და სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში უწყობთ ხელს.
2.3.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და **სახელმწიფო ენის მასწავლებლებთან** გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას საგანში აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა მეთოდებს. 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების განხორციელებას II-XII კლასებში, რომლის მიზანი სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასებაა, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. კათედრაზე პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანად მიიჩნევენ იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, რომელშიც მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. გამოიკვეთა, რომ მაგ. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ზეპირსიტყვიერად განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). სკოლის მიერ წარმოდგენილ **უცხოური ენების** დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ 2023-2024 წლისთვის სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების შემოღებას, რომლის მიზანი იქნება სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასება. უცხოური ენების კათედრას სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქვს ისეთი აქტივობების განხორციელება როგორიცაა პროექტი, კლუბი, ღონისძიება, დიაგნოსტიკური წერა, დაკვირვება. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ, მასწავლებელები ითვალისწინებენ მოსწავლეების უნარებს,შესაძლებლობებს მშობლებთან, კოლეგებთან, დამრიგებლებთან და დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია , რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობა მონაცემთა შეგროვების პროცესში, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი წყაროების არსებობას. ინტერვიურებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალების განვითარების პროცესში მათ მიერ გაკეთებული მონიშვნები მოსწავლის პროგრესის აღსანუსხად მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი საშუალება იქნება; მნიშვნელოვანია განმავითარებელი კომენტარის, მასწავლებლისა და მოსწავლის თვითრეფლექსიის, მასწავლებლების მიერ კათედრაზე განხილული გამოწვევების, კითხვარების საშუალებით მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის, მასწავლებლების მიერ მშობლებისთვის კრებებზე გაზიარებული ინფორმაციის და მათგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება, რაც მიმდინარე სასწავლო წელს უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაითვალისწინოს სკოლამ. შეფასება გვაძლევს ინფორმაციას სკოლის, კლასის, მოსწავლის, მასწავლებლის წინსვლის, მიღწევის და არსებული პრობლემების შესახებ. **ს**კოლის მიერ საშუალო საფეხურზე დაგეგმილი **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმი ითვალისწინებს საზოგადოების წევრთა ჩართულობას და მოსწავლეთა მიღწევების მონაცემების შეგროვების პროცესს სხვადასხვა წყაროებით. **არჩევითი საგნები - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, პროექტი- მუსიკა/ხელოვნება-** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ 2023-2024 წლისთვის სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების შემოღებას, რომლის მიზანი იქნება სასწავლო პროცესის ჰოლისტური შეფასება, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით.**2.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლას აქვს გააზრებული, თუ რამდენად ეხმარება კურიკულუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას; რამდენად უწყობს ხელს ცოდნის გააზრებულად კონსტრუირებას; რამდენადაა აგებული მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტების შესაბამისი თემებით; რამდენადაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული; ავითარებს თუ არა მოსწავლის კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. სკოლა თვითსეფასებისას ხაზს უსვამს ხედვას, რომ თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, პედაგოგებთან დადირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას **მათემატიკის პედაგოგები** მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი. **უცხოური ენების** კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი სავალდებულო თემები, საკითხები ,კომპლექსური დავალებების იდეები ,საბოლოო პროდუქტები მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით მოსწავლის მრავალმხრივად შეფასების საშუალებას იძლევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური ბუნების საკითხების შერჩევისას გაითვალისწინეს მშობლების, კოლეგების, მოსწავლეების მოსაზრებები, ასაკობრივი მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები, აკადემიური მოსწრება. გარდა ამისა, სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქტივობები როგორიცაა პროექტები, კლუბები, კვლევები უზრუნველყოფს მრავალფეროვანი კონტექსტების გამოყენებას და თავისთავად მოსწავლის მრავალმხრივად შეფასებას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასება ეფუძნება სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და აისახება მოსწავლის მოტივაციაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან გასაუ**ბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება მიმდინარეობს შემდეგი კონტექსტის გათვალისწინებით: მოსწავლის შესაძლებლობების, მათი ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობის, მოსწავლის კოგნიტური უნარების, სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელ შეფასებების გათვალისწინებით. **არჩევითი საგნები, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ასევე პროექტი მუსიკა/ხელოვნება-** როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუთი და შესწავლილი დოკუმენტაციიდან იკვეთება მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და მიღწეულ შედეგზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ საგნების სწავლებისას, მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლის წინარე ცოდნა, გარემო, მოსწავლის დამოკიდებულება საგნის მიმართ, მისი სოციალური და ფსიქოემოციური განწყობა და ისე მოახდინონ მოსწავლის შეფასება. **2.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის შეფასების პროცესში **ქართული ენის** კათედრას დაგეგმილი აქვს დანერგოს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს მონიტორინგის განხორციელდებას მჭიდრო თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გზით. სკოლას მიაჩნია, რომ შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე, ხოლო მისი ინსტრუმენტების მრავალფეროვნება მოეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში, შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **უცხოური ენების** დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის საგნობრივი კათედრები დაგეგმავენ და ორგანიზებას გაუწევენ ისეთ სასწავლო აქტივობებს როგორიცაა პროექტები, პრეზენტაციები, კონკურსები, ოლიმპიადები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ. რაც თავს მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა, მრავლფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების ისეთი მეთოდებს როგორიცაა: დაკვირვება, კვლევა, ანალიზი, ფოკუსჯგუფი, ჩექლისთები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შეფასება ინფორმაციის შეგროვების ერთ ერთი ფორმაა და გვაწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების ეფექტურობის შესახებ. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. მასზე დაყრდნობით კი ვგეგმავთ მომდევნო სასწავლო პროცესს. შეფასების რუბრიკების მრავალფეროვნება კი გვეხმარება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში. შეფასების სანდოობასა და გამჭვირვალობაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** პედაგოგებთან გასაუბრების შემდგომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა იყენებს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს: დაკვირვება, მონიტორინგი, კვლევა და სასკოლო პროექტები. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოახდინოს დაკვივრება, კვლევა, წერები რომელიც სტანდარტთან შესაბამისობაშია. **2.3.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის ხედვებიდან გამოიკვეთა, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება: სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. თუმცა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს ანიჭებენ, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. ასეთ დროს მოსწავლემ წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. პედაგოგები საუბრობენ, რომ შეფასებისას ხშირად მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომას, რათა თითოეულ მოსწავლეში სხვადასხვა უნარის უპირატესობა გამოკვეთონ. **მათემატიკის** პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **უცხოური ენების** კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ_შეფასება ხდება მოსწავლის ფსიქო სოციალური, ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაცია. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შეფასების დროს გათვალისწინებულია აკადემიურ მოსწრებაზე გავლენის მქონე ფაქტორები სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა, სახელმძღვანელო, დამხმარე რესურსების ეფექტიანად გამოყენება და სხვა. საშუალო საფეხურზე შეფასების წარმოებისას ვითვალისწინებთ არაერთ ფაქტორს, თუმცა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქციულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლემ წინასწარ იცის , რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. სკოლის მიერ ატვირთული **საზოგადოებრივი მეცნიერებების** დოკუმენტებიდან ირკვევა , რომ სკოლა იყენებს ინდივიდუალურ მიდგომებს მოსწავლეებთან, მათი საჭიროებების მიხედვით, ჩართული ჰყავს სხვადასხვა პროექტებში და ითვალისწინებს მრავალფეროვან ფაქტორებს და მულტიფუნქციურ მიდგომას . **2.3.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა
- უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა სადაც აღწერიალა სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი საკითხები, რაც ვფიქრობ კურიკულუმების დახვეწის და განვითარების საწინდარია. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი კურიკულუმების გამოყენებისას /დანერგვისას განახორციელებენ დაკვირვებას ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სისტემატიურად განახორციელებენ თვითშეფასებას/რეფლექსიას და კოლეგებთან ერთად მოახდენენ გაუმჯობესების გზების დასახვას. სასკოლო საზოგადოება აანალიზებს მონაცემებს, შემუშავებული აქვს კურიკულუმი 2023-2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო წლისთვის, სადაც გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის მეთოდოლოგია. გასაუბრებებისას აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ ურთიერთგამოცდილების ანალიზის შესაბამისობას და ქმნიან კურიკულუმის მოდიფიცირებას. სსსმ მიმართულებით ადგენენ საჭიროებებს, ასევე ახდენენ მათზე მორგებული გეგმების მოდიფიცირებასაც. დირექცია უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შეხვედრას, სადაც დაგეგმილია კურიკულუმის განვითარების გზების განხილვა. ინდიკსტორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

უცხოური ენების მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ყოველთვის ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას და წარმოდგენილი ახალი კურიკულუმების, სასწავლო მასალის, აქტივობების, დამატებითი რესურსების გაუმჯობესებისთვის გაითვალისწინეს წინა სასწავლო წლის გამოცდილება კათედრის შეხვედრაზე, განიხილეს შემაჯამებელების ანალიზები, მასწავლებლების რეფლექსიები, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი საუკეთესო პრაქტიკა, განხორციელებული დავალებების ძლიერი და სუსტი მხარეები, დასახეს ინტერვენციები როგორიცაა დაკვირვება, კვლევა თუ როგორ მიმდინარეობს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა, ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე** მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება და გაითვალისწინებს მონიტორინგის შეფასებას და შედეგს, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებზე იქნება მორგებული. ამ პროცესს მონიტორინგს გაუწევს ხარისხის მართვის ჯგუფი, დირექცია და კათედრა. **2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი
- უცხოური ენები სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სასკოლო კურიკულუმი.(გეოგრაფია,მოქალაქეობა, ისტორია 10-11კლასების)
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმები.
- შეფასების სისტემის ნიმუში.
- კომპლექსური დავალებები (ნიმუში)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

27/11/2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---